CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი 19 იანვარი, 2009 წელი. №9 (2047)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
***2424**

პრესომბუდსმენი
A3

მიხეილ სააკაშვილი - 2009 წლის ადამიანი საქართველოსთვის?
A4

ევროსასამართლოში განაცხადები იგზავნება
A5

"ნიუ იორკ თაიმსი" თქვენი სარკმელი სამყაროში

20 იანვრიდან, ყოველ სამშაბათს, მსოფლიო პრესის ლიდერი "ნიუ იორკ თაიმსი" "24 საათთან" ერთად.

"ნიუ იორკ თაიმსი" შეარჩევს საუკეთესოს თავისი მასალებიდან და მოამზადებს გაზეთს სპეციალურად ქართველი მკითხველისთვის.

რთული საუბრები ევროსაბჭოსა და მოსკოვს შორის

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რამდენიმე დღეში რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებზე კიდევ ერთხელ იმსჯელებს. რუსეთი ამ საკითხზე მიღებული რეზოლუციის მთავარ მოთხოვნებს არ ასრულებს – ასეთ დასკვნას გასული წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ასამბლეის შუალედური მოხსენება შეიცავს. მოსკოვს ასამბლეის მოთხოვნები არც ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ შეუსრულებია.

დიმიტრი ავალიანი

გუშინ მოსკოვს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის "საპრეზიდენტო კომიტეტი" ეწვია, ასამბლეის თავმჯდომარე ლუის მარია დე პუჩის და ხუთი წამყვანი ფრაქციის ხელმძღვანელის შემადგენლობით. ვიზიტის მიზანია, შემოწმდეს, როგორ სრულდება გასული წლის ოქტომბერში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ მიღებული რეზოლუცია, რომელიც მოსკოვის მიმართ მთელ რიგ მოთხოვნებს შეიცავს. აგვისტოს კონფლიქტის "ჰუმანიტარული შედეგების ლიკვიდაციის ზომების" განსახილველად გუშინ მოსკოვში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგიც ჩავიდა.

რუსეთის მიერ რეზოლუციის შესრულებაზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხელმძღვანელებთან საუბარი **"საკმაოდ რთული"** იქნება, - აღიარა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტანტინ კოსაჩევმა.

26-30 იანვარს, სტრასბურგში დაგეგმილ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ მიღებული რეზოლუციის შესრულება და კონფლიქტის ჰუმანიტარული პრობლემები ერთ-ერთი მთავარი თემა გახდება. ევროპელი პარლამენტარები განიხილავენ ასამბლეის სამონიტორინგო კომიტეტის თანამომხსენებლების ლუკ ვან დერ ბრანდესა და მათიას ეორშის მოხსენებას რეზოლუციის შესრულების შესახებ, რომელიც თბილისსა და მოსკოვში ვიზიტების შედეგების მიხედვით მომზადდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

ისრაელმა ცეცხლი ცალმხრივად შეწყვიტა

ხათუნა გაბიევი

ახლო აღმოსავლეთში გაერო-ს გენერალური მდივნის ვიზიტისა და სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური მცდელობის შემდეგ ისრაელმა ღაზას სექტორში ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა, მაგრამ ბოევიკების მხრიდან იერიშების განახლების შემთხვევაში სათანადო რეაგირების უფლება დაიტოვა. რამდენიმე საათში საომარი მოქმედებები მაინც განახლდა. ღაზას სექტორიდან ისრაელის ქალაქ სდეროტის მიმართულებით "ჰამასის" ბოევიკებმა "კასამის" ტიპის ხუთი რაკეტა ისროლეს, რაზეც ისრაელის ავიაციამ ღაზას სექტორის ჩრდილოეთით სარაკეტო-გამშვებ დანადგარებზე იერიშით უპასუხა. საინფორმაციო სააგენტო "ფრანსპრესის" მონაცემებით, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, დაიჭრა მხოლოდ რამდენიმე ბოევიკი.

ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილება

ისრაელის ხელმძღვანელობამ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება 18 იანვარს ღამით მიიღო.

"ეს გადაწყვეტილება "ჰამასთან" შეთანხმების მიღწევას არ ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ რადიკალური დაჯგუფება ისრაელის წინააღმდეგ სარაკეტო დარტყმებს გააგრძელებს, ქვეყნის შეიარაღებული ძალები მათ აუცილებლად უპასუხებენ. სამხედრო კამპანიამ ისრაელის ძალის დემონსტრირება და მისი თავდაცვისუნარიანობის გამყარება შეძლო. ისრაელის მტრები "ჰამასის" ბოევიკები არიან და არა ღაზას სექტორის მოსახლეობა. ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის გამო," – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრ ეჰუდ ოლმერტის განცხადებით, "ცაჰალმა" ყველა დასახულ მიზანს მიაღწია: განადგურებულია გვირაბები, რომლითაც ანკლავში იარაღის კონტრაბანდა ხორციელდებოდა და დაკავებულია პოზიციები, საიდანაც "ჰამასი" ისრაელს ბომბავდა. ოპერაცია "ჩამოსხმული ტყვიის" დასრულების შემდეგ ისრაელმა მძიმე ტექნიკის გაყვანა დაიწყო, მაგრამ ჯარი დატოვა ანკლავის ტერიტორიაზე. პრემიერის თქმით, ჯარს ისრაელი ღაზას სექტორიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანს, თუ ისრაელის წინააღმდეგ ბოევიკთა სარაკეტო იერიშები შეწყდება.

გაგრძელება A7 გვერდზე

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

CMYK - 1

ორი სიტყვით

თბილისი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით, დღეს სამების საკათედრო ტაძარში ჩვილებს მონათლავს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ბრიუსელი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძე ბრიუსელში იმყოფება. მან ნატო-ს შტაბ-ბინაში გამართა შეხვედრები. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისი. ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელ დავით დარჩიაშვილის მონაცემებით, "ენგურჰესში" რუსული კომპანია "ინტერ რაოს" შეყვანის შესახებ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი - ამერიკის შეერთებული შტატები ინფორმირებული იყო. **პირველი**

თბილისი. ქართველმა ახალგაზრდებმა უკრაინის საელჩოსთან უკრაინის მხარდამჭერი აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა რუსეთის ქმედებებს ენერგეტიკულ შანტაჟი უწოდეს და უკრაინის მისამართით რუსეთის აგრესიის შეწყვეტა მოითხოვეს. **პირველი**

თბილისი. დღეს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გეორგიოს სურლასი და პარლამენტის წევრები ეწვევიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისი. ქართული მხარე 17-18 თებერვალს ჟენევის კონსულტაციების მესამე რაუნდზე გალში აფხაზური პასპორტიზაციის საკითხს კიდევ ერთხელ დააყენებს. **პირველი**

სოხუმი. სეპარატისტული აფხაზეთის ვეტერინალური სამსახური შეშფოთებულია ქალაქ სოჭსა და სტავროპოლში ღორის აფრიკული ჭირის გავრცელებით და საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას ცხოველების დაკვლის რეკომენდაციას აძლევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსული დესანტი კნოლევის მახლობლად რჩება

ორი დღის წინ სოფელ კნოლევში შესული რუსული დესანტის ნაწილი კვლავ ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მახლობლად რჩება. როგორც ქარელის რაიონის სოფელ ავლევის, ცერონისის და კნოლევის მკვიდრნი აცხადებენ, სეპარატისტების მხრიდან გახშირებული პროვოკაციების გამო ძალიან დიდია ამ სოფლების დაცლის საფრთხე.

"დესანტის გადმოსხმის შემდეგ ბავშვები ნათესავებთან გავუშვით და კონფლიქტის ზონას გავარიდეთ. აქ დღემდე რჩებიან სამხედროები და ყოველ ღამე ისმის სროლის ხმა. შესაბამისად, ყოველთვის მოსალოდნელია სიტუაციის გამწვავება," - აცხადებს ადგილობრივი მოსახლეობა.

პირველი

პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

გრიგოლ მგალობლიშვილს 17 იანვარს წნევის ცვალებადობა აღენიშნებოდა, რის გამოც ის თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი ობსერვაციულ პალატაში მოათავსეს და მას ქართველი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რამდენიმედღიანი სტაციონარული მკურნალობა ჩაუტარდება.

"მკურნალობის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ბატონი გეგა ჭოსპიტალიზებული ყოფილიყო ჩვენს კლინიკაში, ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და არავითარი საშიშროება არ არსებობს," - განაცხადა რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ყიფშიძემ.

ჯანმრთელობის პრობლემის გამო იანვრის დასაწყისში პრემიერ-მინისტრმა გერმანიაში კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარა. გერმანელმა ექიმებმა მას ნეფროპატიის (ინფექციის შედეგად გამოწვეული თირკმლის ანთებითი პროცესი) დიაგნოზი დაუსვეს და ოთხკვირიანი მკურნალობა დაუნიშნეს.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსეთის ვიზებს შვეიცარიის საელჩოში გასცემენ

რუსეთის ვიზების გაცემა საქართველოში, სავარაუდოდ, თვის ბოლოსთვის განახლდება. როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში აცხადებენ, შვეიცარიის საელჩოში რუსეთის სექცია შეიქმნება, რომელიც თბილისში რუსეთის ყოფილი საელჩოს ტერიტორიაზე განთავსდება და საქართველოში დარჩენილი რუსეთის საკონსულოს თანამშრომლები სწორედ ამ სექციაში იმუშავებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ვიზის გაცემისა და საკონსულოს ფუნქციონირების პროცედურები ჯერ მთლიანად დასრულებული არ არის.

პირველი

რთული საუბრები ევროსაბჭოსა და მოსკოვს შორის

პირველი გვერდიდან

დეკემბერში გამოქვეყნებულ ვან დერ ბრანდესა და მათიას ეორშის შუალედურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თბილისი ასამბლეის მოთხოვნებს ძირითადად ასრულებს, ხოლო მოსკოვი რეზოლუციის მთავარ მუხლებს დღემდე იგნორირებას უკეთებს.

კერძოდ, რუსეთს არ შეუსრულებია 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმებების ყველა პირობა და ჯარები საწყის პოზიციებზე არ დაუბრუნებია. ასევე გრძელდება თავდასხმები და პროვოკაციები ქართული სოფლებისა და პოლიციის წინააღმდეგ, რაც სამშვიდობო შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთი უარს აცხადებს სამხრეთ ოსეთში ძარცვისა და ეთნიკური წმენდის შეჩერებაზე და დამნაშავეთა გასამართლებაზე. შესაბამისად, რუსეთი არ ასრულებს ასამბლეის რეზოლუციის მოთხოვნას ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისა და უკანონობის აღკვეთისთვის სასწრაფო ზომების მიღების შესახებ, ასევე ხელს უშლის სამხრეთ ოსეთში ეუთო-ს მისიის მუშაობის განახლებას და დევნილების დაბრუნებას.

გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ არ აპირებს, შეცვალოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რაც რეზოლუციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ, მართალია, რუსეთმა საერთაშორისო გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა, თუმცა მისი საგამოძიებო ორგანოები მხოლოდ ქართული ჯარების მიერ დაშვებულ დარღვევებს იძიებენ და რუსეთის ჯარებისა და ოსური ფორმირებების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე არანაირ გამოძიებას არ აწარმოებენ. რეზოლუციის დარღვევას ასევე წარმოადგენს კონფლიქტის ზონებში პრესის წარმომადგენელთა გადაადგილების შეზღუდვაც.

გარდა ამისა, დოკუმენტში გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ რუსეთმა აქამდე არსებული სამშვიდობო ფორმატები სოხუმთან და ცხინვალთან **"მეგობრობისა და თანამშრომლობის"** ხელშეკრულებებით ჩაანაცვლა და რაიმე **"დამატებითი"** ფორმატის შემუშავებას ეწინააღმდეგება.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ევროპის საბჭოს მომხსენებლები მიესალმებიან ევროკავშირის მიერ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნას და საქართველოსა და რუსეთს ამ კომისიასთან სრული თანამშრომლობისკენ მოუწოდებენ.

თანამომხსენებლებმა რუსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევების **"სასწრაფოდ შეჩერებისკენ,"** დამნაშავეთა სამართლებრივად დასჯისკენ და ადამიანის უფლებათა საკითხში ასამბლეის ყველა მოთხოვნის შესრულებისკენ მოუწოდეს და გამოთქვეს შეშფოთება ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ დაძაბულობის ზრდისა და პროვოკაციების გამო, რამაც შესაძლებელია **"შეტაკებების ან საბრძოლო მოქმედებების განახლება გამოიწვიოს."**

მომხსენებლებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლას, ასევე ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ფორმატის შექმნას დაუჭირეს მხარი.

როგორც ჩანს, საბოლოო მოხსენებაში, რომელსაც ვან დერ ბრანდე და ეორში საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სესიაზე წარადგენენ, ასახული იქნება მათ მიერ შუალედურ მოხსენებაში რუსეთის მიმართ მოყვანილი ყველა მოთხოვნა, რადგან მოსკოვი ასამბლეის რეზოლუციის შესაბამის მუხლებს დღემდე არ ასრულებს.

რუსეთის მომავალი პატრიარქი და „კაგებე"

კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კანდიდატობაზე უარი თქვა. საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმის" მიერ გავრცელებული ცნობებით, ამის შესახებ მან უკრაინის დელეგაციის კრებაზე განაცხადა.

"დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ ვინ დაიკავებს გარდაცვლილი პატრიარქის ტახტს. შესაძლო კანდიდატებს შორის მეც მომიხსენიებენ და ჩემში უწმინდესი პატრიარქის, ალექსის მემკვიდრეს ხედავენ. ასეთი მაღალი პატივისთვის გულწრფელად მადლობელი ვარ, მაგრამ მინდა, ღმერთის წინაშე კიევის 121-ე მიტროპოლიტად წარვდგე. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მეთექვსმეტე პატრიარქი ვინმე სხვა იყოს, ვისზეც ღვთის და თქვენი არჩევანი მიუთითებს," – აღნიშნა კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა.

სხვა კანდიდატებთან შედარებით, რუსეთის პატრიარქად არჩევის ყველაზე დიდი შანსი მიტროპოლიტ კირილს აქვს. იგი სასულიერო პირების იმ სიაშიც არის ნახსენები, რომელიც 1992 წელს რუსეთის პარლამენტის მიერ გამოქვეყნდა.

თეოლოგ ბექა მინდიაშვილის განცხადებით, დოკუმენტურად დამტკიცებული ფაქტია ის, რომ რუსეთის ეკლესიის მაღალი რანგის პირები საბჭოთა კავშირის დროს „კაგებესთან" თანამშრომლობდნენ და ეს დამალული ინფორმაცია არ არის.

ბექა მინდიაშვილის თქმით, 1968 წელს რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა საჯაროდ განაცხადა, რომ რუსული ეკლესიის მაღალი იერარქიის წარმომადგენლები „კაგებესთან" თანამშრომლობდენ. ამის გამო იგი ეკლესიიდან გააძევეს და რელიგიური დისიდენტობის ბრალდებით გადაასახლეს. 1992 წელს კი, იგი რუსეთის პარლამენტში მოხვდა და იქ შექმნა საგამოძიებო კომისია, რომელმაც რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლებისა და „კაგებეს" თანამშრომლობის შესახებ მასალები გამოაქვეყნა. „კაგებეს" თანამშრომელი სასულიერო პირების სიაში მიტროპოლიტი კირილიც იყო მოხსენებული. ამ სიაში მითითებულია მათი წოდებებიც. მაგალითად, მიტროპოლიტი კირილის მეტსახელი იყო „მიხაილოვი" და ასე შემდეგ. ეს ცნობილი ფაქტია და ამას არც რუსი მიტროპოლიტები მალავენ. დღეს ეს ერთგვარად სასახელოდაც კი მიიჩნევა, ვინაიდან რუსეთში საბჭოური, იმპერიული სულისკვეთება აღდგა.

საკუთარი ინფორმაცია

ოკუპანტების მორიგი პროვოკაცია

გუშინ, დილის 5 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში, ხურჩის უბანში განთავსებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგუშაგოს რუსი ოკუპანტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სროლა წარმოებდა როგორც ავტომატური იარაღიდან, ასევე ყუმბარმტყორცნებიდან. ინციდენტის შედეგად დაიჭრა განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც ჰოსპიტალშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროს შოთა უტიაშვილის განცხადებით, ხურჩაში მომხდარ ინციდენტს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეისწავლის. "ხურჩაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კონკრეტული დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ვიცით, რომ სროლა განხორციელდა ოკუპირებული ტერიტორიიდან. რაც შეეხება დაჭრილს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმები სწავლობენ," - აღნიშნავს უტიაშვილი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხურჩაში მომხდარი ინციდენტის გამო უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავს და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ყოველ მსგავს დანაშაულებრივ ქმედებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ რუსეთის ფედერაციას ეკისრება.

"აღნიშნული თავდასხმა და 2009 წლის 18 იანვარს ქართველი პოლიციელის მკვლელობის ფაქტი, ისევე როგორც აქამდე განხორციელებული ათობით პროვოკაცია, რის შედეგადაც უკვე დაიღუპა თერთმეტი ქართველი სამართალდამცავი და ორი მშვიდობიანი მოქალაქე და დაიჭრა ათობით ადამიანი, წარმოადგენს კარგად მოფიქრებულ, მიზანმიმართულ მცდელობათა ჯაჭვს, რომელიც მიზნად ისახავს მდგომარეობის დესტაბილიზაციას და ქართული მხარის კიდევ ერთ ფართომასშტაბიან სამხედრო პროვოკაციაში ჩათრევას. მით უფრო ცხადია, რომ აღნიშნული ვითარება საერთაშორისო თანამეგობრობის დროულ და ქმედით რეაგირებას მოითხოვს. 2008 წლის 17-18 დეკემბერს ჟენევის მოლაპარაკებების დროს განხილული ინციდენტების პრევენციის და გამოძიების მექანიზმი, რომლის შექმნა რუსეთის ფედერაციის და მის მიერ კონტროლირებადი მარიონეტული რეჟიმების მიერ დაიბლოკა, სწორედ ასეთი ფაქტების თავიდან აცილებასა და გამოძიებას ისახავდა მიზნად. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების თებერვლის რაუნდზე შესაძლებელი გახდება ამ მექანიზმის შექმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტა," - ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო უწყების განცხადებით, მომავალში მსგავსი პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ქმედითი საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელება სწორედ რუსეთის მიერ ოკუპირებულ და მისი სრული კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე. როგორც ევროკავშირის, ისე ეუთო-ს და გაერო-ს დამკვირვებლებს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ ოკუპირებულ რეგიონებში გადაადგილების სრული თავისუფლება და მანდატით გათვალისწინებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების საშუალება.

"18 იანვრის ინციდენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს გაერო-ს ფარგლებში საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ბაზაზე კომპლექსური ფართომასშტაბიანი სამშვიდობო ოპერაციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად და შესაძლო სამხედრო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება, რომ ამ ახალ მისიას ჰქონდეს გაზრდილი სამშვიდობო, საპოლიციო და სადამკვირვებლო შესაძლებლობები ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს, განსაკუთრებით კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარ გარანტიებს უზრუნველყოფს მხოლოდ რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიანი შეთანხმების სრულფასოვანი შესრულება და საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სრული დეოკუპაცია," - აღნიშნულია განცხადებაში.

ჯი-ეიჩ-ენი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge



ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

რამდენიმე წლის წინათ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა, ქართველების ისტორიული მეხსიერება ფიქცია არისო. მართლაც, ასე რომ არ ყოფილიყო, **ვანო სარაჯიშვილის** სამშობლოში XX საუკუნის მომღერლად **ნანი ბრეგვაძეს** არ დაასახელებდნენ. თუმცა იმ ჭკვიანი კაცის ნათქვამშიც არის გარკვეული ცალმხრივობა თუ ზედაპირულობა...

ჯერ ერთი, ყოველგვარი ისტორიული მეხსიერება, გინდ ქართველებისა იყოს, გინდ კორეელებისა, თავისთავად, ფიქციაა. მას საარსებოდ ყოველთვის სჭირდება ცნობიერებაზე მუდმივად მოძალადე ფაქტორები და ამ საქმეში ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო ყოველთვის როდია საკმარისი.

მეორეც, აქ მხოლოდ ისტორიული მეხსიერების პრობლემა არ არის. მთავარი უბედურება ისაა, თუ როგორ ვლინდება ქართველებში ისტორიული დავიწყება.

არსებობს ერთი ებრაული ანეგდოტი მოხუც ბებია სარაზე, რომელმაც თქვა: "**რა სასიამოვნო დაავადებაა სკლეროზი: ყოველდღე იმდენი ახალი ამბავი მხვდება!**". სკლეროზი რომ გვჭირს, გასაკვირი არ არის. გასაკვირი სხვაა: ის, რომ გახსენება სიხარულს არ გვანიჭებს. ან უფრო უხეში და ზუსტი სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარი მკვდრები არ გვაღელვებს და ამ გულგრილობის დაფარვას მოწიწებით ვცდილობთ.

ერთხელ კერძო საუბარში მკითხეს, შენ რა, საქართველოს წარსული არ გიყვარსო? სინამდვილეში კი სიყვარულის შედარებაც კი არ შეიძლება იმასთან, რასაც მე ვგრძნობ: **მე მაინტერესებს**. სიყვარულისაგან განსხვავებით, ინტერესის სიმულირება შეუძლებელია. რატომ? – იმიტომ, რომ ამის მოტივი არ არსებობს. ინტერესი ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან. სიყვარული კი მხოლოდ ზოგჯერ. და კიდევ: ინტერესის დაკმაყოფილებას ბევრად უფრო სერიოზული მომზადება და მეტი შრომა სჭირდება, ვიდრე იმ სოციალური ქცევის ათვისებას, რომელსაც სხვები ჩვენში სიყვარულის გამოვლინებად სცნობენ და აღიარებენ.

ერთი სიტყვით, არასოდეს მომწონდა პროექტი "დიდი ათეული". არა იდეის გამო, არამედ იმიტომ, რომ მასში სრულიად შემთხვევითი და მოუმზადებელი ადამიანები იყვნენ ჩართულნი. ხილულიც და უხილავიც ერთნაირად არ ვარგოდა. მაღიზიანებდა ის, რაც მესმოდა ეკრანიდან და რასაც ვკითხულობდი პროექტის საიტზე - ერთიც და მეორეც ან უცაბედად ხდებოდა, ან სხვისი თხოვნით. ამას დღეს მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ გასაგები გახდეს: მე სხვის უფლებას ვიცავ, იმათ უფლებას, ვინც ბინადრობს ჩემს ქვეყანაში და ვისთან გვერდიგვერდ ცხოვრებაც ჩემი სასიცოცხლო ინტერესია, თუნდაც პირადად არაფერი მქონდეს საერთო.

დღეს არ მინდა ვილაპარაკო იურიდიულ ენაზე... თუმცა ეს არც საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯერებს და არც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობას არ აწყენდა. ამ საკითხში ისევ იმას უნდა დავუბრუნდე, რითაც დავიწყე: ფარისევლობას.

სწორედ ფარისევლობა არის იმ მოწიწების საფუძველი, რომელსაც ქართველი ასე სიამოვნებით გამოხატავს ხოლმე.

გასულ ოთხშაბათს **ეკა კვესიტაძის** გადაცემაში "აქცენტები" **ლევან ყუბანეიშვილმა** თავისი მარჯვენა ხელი, **გიორგი ჭანტურია** ასე გაამართლა: "**საჯაროდ ხომ არ უთქვამს, კერძო საუბარში თქვაო**". გამოდის, ლიბერალური ღირებულებები მხოლოდ "საჯარო" საუბრისთვის არსებობს, ჩვენს არსებას კი არ მოიცავს, არამედ, ასე ვთქვათ, გამოსასვლელი ტანსაცმელივითაა, უფრო სწორად, იმ ნათხოვარ თეთრ ჩოხას ჰგავს, ძმები კალმახიძეები ერთმანეთს რომ ართმევდნენ, როცა რომელიმე მათგანი სადმე ქორწილში მიდიოდა.

რამდენიმე თვის წინათ კონკურსი იყო გამოცხადებული პირველი არხის დევიზისათვის - ათას ლარს ჰპირდებოდნენ გამარჯვებულს. მერე და რა? - დევიზად აირჩიეს ორი სიტყვა: "**არხი განწყობისათვის**". განწყობა, მოგეხსენებათ, გარემოსთან ერთად იცვლება - არა, ამ დევიზში ეროვნული ფსიქოლოგიური სკოლის დაფასება როდი იგრძნობა (საინტერესო იქნებოდა, გერმანიაში საზოგადოებრივ მაუწყებელს "გეშტალტფერნზეენ" რომ ერქვას, საფრანგეთში კი "კანალ შარკო"), ეს უბრალოდ იმ ჭკუამხიარულ ფარისეველთა სლოგანია, ცხვირი მუდამ ქარის მიმართულებით რომ უჭირავთ.

თითქოს რას გადავეკიდე ერთ როყიოდ ნასროლ სიტყვას. დიდი ამბავი! - არა, ბატონებო, საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელმა აღიარა, რომ პირადად მას და მის თანაშემწეს ჰაერივით სჭირდებათ ცენზურა. აბა, ცენზურის გარეშე მათი გარეთ გამოშვება როგორ იქნება? - რანაირად გააგნებენ გზას ქვეყნიერების მრავალფეროვნებაში, რანაირად მიხვდებიან, სად როგორ მოიქცნენ? ჰოდა, გასულ პარასკევს პირდაპირ ეთერში გამართული დებატების შემდეგ ორივეს გამოსვლას სწორედ ეს გაურკვევლობა დაეტყო.

არსებობს ერთი შუასაუკუნეობრივი აპორია, რომელიც ბურიდანის ვირის სახელითაა ცნობილი: ვირისაგან ერთსა და იმავე მანძილზე თივის ორი გროვა დევს; საწყალ ჩოკინას ვერ გადაუწყვეტია, რომელი მათგანისკენ დაიძრას, ამიტომაც უსასრულოდ გაქვავებულა ერთ ადგილას და შიმშილით კვდება. სწორედ ორი ბურიდანის ვირი ვიხილეთ ეკრანზე. ერთმაც და მეორემაც საპატრიარქო და საზოგადოება ცენზორებად აღიქვა, ჰოდა, ამ ორ ცენზორს შორის არჩევანი ვერ გააკეთა.

მაგრამ მოწიწება? - იკითხავს ყურადღებიანი მკითხველი და მართალიც იქნება. მოწიწება რაღა შუაშია? საქმე სწორედ ესაა: მთელი კონფლიქტი მოწიწების ფარისევლურ გრძნობაზეა აგებული. გვეუბნებიან, რომ წმინდანები უნდა გამოირიცხონ, რადგან მათ შორის დაუშვებელია "შეჯიბრი".

ეს მოწიწება, ერთი მხრივ, იმიტომაა ფარისევლური, რომ აბსურდულია. მართლაც, რას ნიშნავს წმინდანთა შორის "შეჯიბრი"? - გამოდის, რომ პროექტ "დიდი ათეულის" შედეგი საზოგადოების წარმოდგენებს კი არ ასახავს, არამედ რაღაცნაირად მოქმედებს ზეციურ იერარქიაზე. მაღალღირსი მამები და ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსები თავის უნებურად იმ გადაცემის საკრალიზაციას ახდენენ, რომლის შეცვლა ან სულაც გაუქმება სურთ.

მეორე მხრივ, ეს მოწიწება ფარისევლურია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ნამდვილი მოწიწება არ ემყარება სიცრუეს. ეპისკოპოსმა პეტრემ კი იცრუა, როცა თქვა, რომ **ილია ჭავჭავაძე** მორჩილებისთვის შერაცხეს წმინდანად, რადგან თურმე მის ყოველ, უფრო მეტიც, თითოეულ ნაბიჯს მოძღვარი, ვინმე **ოქროპირიძე** განსაზღვრავდა. და ის ოქროპირიძე რატომ არ არის წმინდანად შერაცხული? მაგრამ ეს იქით იყოს: არსებობს უწმინდესი სინოდის დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე შეირაცხა წმინდანად დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით და ქართველი ხალხის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის. მორჩილებაზე იქ სიტყვაც არაა ნათქვამი. ისევე როგორც დანამდვილებით არაფერია ცნობილი **დავით IV**-ის მორჩილების შესახებ. ნეტა რა ისტორიულ წყაროებს დაეყრდნო უსამღვდელოესი პეტრე თავის ვარაუდებში? ან **ჭყონდიდელის** სასარგებლოდ ასე რატომ დააკნინა დავით აღმაშენებლის მეორე მოძღვრის, **არსენ იყალთოელის** ღვაწლი?

ეს არ არის მხოლოდ წვრილმანების ქექვა (თუმცა ესეც არის) - ჩემი მთავარი სათქმელი შემდეგია: სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელსაც "ცოდვაში ჩავარდნა" არ უნდა და ამიტომ კანონის მოთხოვნებსა და ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს არაფრად მიიჩნევს; მენეჯერი, რომელიც რეალობას მხოლოდ სუსტთა დათრგუნვისა და ძლიერთა წინაშე ქედის მოხრის ენაზე აღიქვამს და ამიტომ ვერ გაურკვევია, რომელ ბატონს ემსახუროს; სასულიერო პირი, რომელსაც ცხოვრებაზე კონტროლი მოსწყურებია და ხელდახელ იგონებს აქამდე გაუგონარ თეოლოგიას - ყველა ეს პერსონაჟი ერთი და იმავე ქართული ჩამოსხმის ფარისეველია. განსხვავება მხოლოდ აქტიურობის დონესა და ხერხებშია.

მაგრამ ეს დასკვნა არ არის საბოლოო. ბევრი რამ გამოგვრჩა მხედველობიდან. გამოვასწოროთ.

ამისათვის კი დავუბრუნდეთ საპატრიარქოს ძირითად მოთხოვნას: ნომინანტთა სიებიდან ამოღებულ იქნენ წმინდანები. ვიღაც ენამახვილმა მითხრა, ამ დალოცვილ ისტორიაში ვინც კი რამე კვალი დატოვა, ყველა წმინდანია, ჰოდა, სიაში მარტო **სტალინი** დარჩებაო. ესეც მართალია, მაგრამ ახლა სხვა რამეს მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება:

პრობლემას ორი პლანი აქვს. პირველი, უფრო მარტივი და ადვილად დასანახი, სამოქალაქო თანაცხოვრების ძირითადი პრინციპის, მრავალრიცხოვან და ერთმანეთთან დაპირისპირებულ ინტერესთა თანაარსებობის დარღვევაა. პროექტში მონაწილეობის საშუალებას ართმევენ იმ ქრისტიანებს, რომლებიც საშიშს ვერაფერს ხედავენ წმინდანთა შედარებაში (იქნებ ვინმემ ამიხსნას, სარწმუნოების რომელი ფუძემდებლური დოგმატი ირღვევა იმით, რომ, ვთქვათ, ჩემი შინაგანი სამყაროსათვის უფრო ახლობელი იყოს **წმ. გრიგოლ ფერაძე**, ვიდრე **წმ. ილარიონ ქართველი**?), ან იმათ, ვინც არ არის მართლმადიდებელი ან სულაც ქრისტიანი, მაგრამ ქართველია და სურს ამ ფორმითაც გამოხატოს საკუთარი ეთნიკური თუ სამოქალაქო იდენტობა.

იმავე პლანს მიეკუთვნება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შელახვა. წლების განმავლობაში ქართველი ჟურნალისტები ლაპარაკობენ კი არა და, ლამის ყვირიან ამაზე, მაგრამ როცა სიტყვის თავისუფლება რეალურად ილახება, რატომღაც ვერავინ სცნობს ამას.

არის მეორე პლანიც - სულიერი. მსგავსი მოთხოვნით ქართველი სამღვდელოების ნაწილმა ფეხქვეშ გათელა ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ანუგეშებდა ყველას, ვისაც კი ქრისტეს მსახურებაში სურდა ცხოვრების გატარება. ეს ნუგეში მოწოდებათა მრავალფეროვნებაა. სწორედ ის, რაც ილია ჭავჭავაძის განდეგილმა ორი სიტყვით გამოხატა: "**ხსნა ყველგანაა**".

დიახ, საითკენაც არ მოგიწოდებს შენი თავისუფალი ნება, სადაც არ გაიძულებს ყოფნასა და საქმიანობას გარემოებათა ერთობლიობა, ყველგან არის შესაძლებელი სულიერი იდეალების განხორციელება, ყველგან შეიძლება ისწრაფო სრულყოფისაკენ და ეკლესიაც ყოველთვის გაწვდის ამის ნიმუშს ამა თუ იმ წმინდანის სახით. როცა გვეუბნებიან, თითქოს რომელიმე მათგანის მიმართ ჩვენი განსაკუთრებული პირადი მადლიერების გამოხატვა ცოდვაა, არც მეტი, არც ნაკლები, მათ სიყვარულს გვიკრძალავენ. სიყვარულს, რომელიც, **პავლე მოციქულის** თანახმად, თავმდაბალი უნდა იყოს, ანუ დასჯერდეს თავის ადამიანურ განზომილებას და ამპარტავნებით აღვსილმა არ მიბაძოს ღმერთს, რომელსაც ყველა ერთნაირად უყვარს. ჩვენ ეს არ შეგვიძლია და არც მოგვეთხოვება.

როცა ამბობენ, რომ გარჩევა ცოდვაა, როცა ქადაგებენ, რომ ღვთის შექმნილი უთვალავი ფერის სამყარო მხოლოდ მონასტერია, სადაც ერთადერთი მისაღები ღირსება მოძღვრის მორჩილებაა, უკვე ძნელია გარჩევა სახარებასა და შარიათს შორის.

ამ ტექსტის წერისას ერთი რამ არ მაძლევდა მოსვენებას: რაღაცას მაგონებდა ამ მოთხოვნის თუ "რეკომენდაციის" შედეგები. რაღაც უკვე შორეულ წარსულში მყოფს, თუმცაღა მეხსიერებას შემორჩენილს. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი:

სად შეუძლია ცხოვრება ადამიანს, რომელსაც გაუთელეს მრავალფეროვნების წმინდათაწმინდა უფლება? თუ კარგად დავუკვირდებით, ასეთ ადამიანს მხოლოდ **დაპყრობილ ქვეყანაში** შეუძლია ცხოვრება.

ეს ჩვენი დაუძლეველი სიმცირისა და უბადრუკობის კიდევ ერთი გამოვლინებაა: ყოვლად უნიჭოდ და უგერგილოდ განხორციელებულ სატელევიზიო პროექტზე თავდასხმა სინამდვილეში არის თავდასხმა ახალდაბადებულ ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. სამწუხაროდ, ამასაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ისტორიული საფუძველი აქვს: მონღოლთა ურდოებმა დაპყრობილ და დამორჩილებულ რუსულ სამთავროებს უზომო ხარკი დაუწესეს. მტარვალმა ხარკისაგან მხოლოდ სამღვდელოება გაათავისუფლა, რადგან ამ უკანასკნელმა ადვილად მიაგნო გზას, თუ როგორ უნდა მიეწოდებინა სახარების სწავლება ისე, რომ ხალხს საბოლოოდ გაჰქრობოდა წინააღმდეგობის უნარი და სურვილი. ამის შემდეგ სამარადისოდ შეაბიჯა რუსულ შეგნებაში და საბოლოოდ დაიმორჩილა ეს შეგნება ტანჯვის იდეალმა, ყბადაღებულმა "სტრადანიემ", რომელსაც არ მოაქვს არავითარი განწმენდა, რომელიც მხოლოდ სხვათა მიმართ უაზრო და ულმობელ ბოღმაში პოულობს გამოსავალს და რომლისთვისაც მე საქართველო არ მემეტება. თქვენ?

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ - 2009 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ?

ᲡᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲙᲣᲡᲘ
"ტელეგრაფი"

2009 წელი არც ერთი ქვეყნისთვის არ იქნება ადვილი, რადგანაც თითოეული ქვეყანა საკუთარი ძალებით ცდილობს გლობალურ ფინანსურ კრიზისთან გამკლავებას. თუმცა, საქართველოსთვის ეს წელი განსაკუთრებულად რთული იქნება: მისთვის ეს წელიწადი გადამწყვეტია.

მიხეილ სააკაშვილი უმკაცრესი წელიწადის პირისპირ

ქვეყნისთვის 2008 წელი დასრულდა იმით, რომ ორი კონფლიქტური რეგიონი პროგნოზირებად მომავალში თბილისისგან საბოლოოდ მოწყვეტილია. ამ ტერიტორიებს ამჟამად რუსული არმია აკონტროლებს. მოსახლეობა იმედგაცრუებულია, მათი პრეზიდენტი მნიშვნელოვნად დისკრედიტირებული, უცხოური ინვესტიციების დონე დაცემული, ხოლო ეკონომიკის წამყვანი დარგები - ტურიზმი, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა გადარჩენისთვის იბრძვიან.

ამ სავალალო ჩამონათვალის მიუხედავად, არსებობს იმ პოტენციალის გარკვეული ნიშნები, რომელიც საქართველოს გააჩნია, როგორც ლიდერების, ასევე რესურსების თვალსაზრისით, რათა მისი მდგომარეობა 2009 წელს სტაბილური გახდეს.

2009 წელს სტაბილურობა საქართველოსთვის უმთავრესი სიტყვაა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ეკონომიკის ამაღლების პროგრესის დიდი იმედი არ არსებობს. თუმცა, ამ ორივე სფეროში სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია - კონფლიქტური რეგიონების დაბრუნებაზე შეიძლება მუშაობის გაგრძელება, ასევე შეიძლება ვალუტის მხარდაჭერა, შეიძლება გარკვეული რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნაც ინფრასტრუქტურაში დაგეგმილი პროექტების განხორციელებით და საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი 4.5 მილიარდი აშშ დოლარის გამიზნულად დახარჯვით.

ეკონომიკის და რუსეთთან ურთიერთობის სტაბილურობის გარეშე ქვეყანამ შესაძლოა დაიწყოს ნელი უკუსვლა, რაც დამღუპველი აღმოჩნდება სახელმწიფოსთვის მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს უფრო მეტი კავშირები მოქმედ დემოკრატიულ ქვეყნებთან და უფრო მეტად პროგრესული და ლიბერალურია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბალტიის ქვეყნებს.

ბევრი იკითხავს - ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა ანდოს ქვეყანამ ასე ძვირადღირებული სტაბილურობა ისეთ იმპულსურ ადამიანს, როგორიც მიხეილ სააკაშვილია? ამაზე პასუხი იქნებოდა, რომ დროა ამ "იმპულსური" იარლიყის მიღმაც გავიხედოთ.

სამხრეთ ოსეთის სამხედრო კამპანიაში ჩათრევა კატასტროფული შეცდომა იყო, თუმცა სასაცილო იქნებოდა, რომ აგვისტოს მოვლენებზე პირდაპირი პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტს დავაკისროთ და რუსული პროვოკაციების დონე დავივიწყოთ.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ომს, ხუთ წლიანი პრეზიდენტობით სააკაშვილმა თავის ქვეყანას კონკრეტული პოზიტიური ცვლილებები მოუტანა. მან დაიწყო ბრძოლა ადგილობრივ კორუფციასთან. მან მოიზიდა უცხოური ინვესტიციების შთამბეჭდავი რაოდენობა. მან შექმნა სამეწარმეო გარემო, რამაც თავის მხრივ სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყო ხელი. საბჭოთა ველური გარემოს 70 წლიანი ბატონობის შემდეგ, მან მის ქვეყანას ალტერნატიული მომავლის იმედი შესძინა.

ამ დროისთვის კი არ არსებობს სხვა ფიგურა, რომელსაც განსაზღვრული ხედვა გააჩნია, თუ როგორ წარუძღვეს ქვეყანას ამ ურთულეს პერიოდში. მხოლოდ ორი სერიოზული მეტოქეა. პირველი ირაკლი ალასანიაა, ყოფილი ელჩი გაეროში, რომელსაც ლიდერის თვისებები ჯერ არ დაუმტკიცებია, აქვს მცირე გამოცდილება და ჯერჯერობით არ განუცხადებია პრეტენზია პრეზიდენტობაზე. მეორე ნინო ბურჯანაძეა, სააკაშვილის ყოფილი მოკავშირე, რომელმაც ჯერჯერობით ვერ შესძლო დაქსაქსული ოპოზიციის მის გარშემო გაერთიანება და ასევე ვერ შესძლო ეჩვენებინა, რომ რეალურად გააჩნია დინამიზმი ან იდეები ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის.

სააკაშვილი არასრულყოფილი და კომპრომეტირებული ლიდერია. იგი წინდაუხედავია და მისი აშკარა რწმენა პრინციპისა - "სახელმწიფო - ეს მე ვარ" - ნიშნავს, რომ მან არაერთხელ გამოუთხარა ძირი დემოკრატიას, რომელსაც თავად იცავს.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სწორედ ომის უბედურებას გააჩნია სააკაშვილის საკუთარ თავში ურყევი რწმენისგან გადარჩენის პოტენციალი. მისი ქმედებების გაკიცხვამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, სააკაშვილი აიძულა, ვაუკაცურად შეხვედროდა თავის შეცდომებს და ქვეყანაში დემოკრატიის ნაკლოვანებებს.

საქართველოსთვის ნატო-ს წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარის თქმისა და იმის გათვალისწინებით, რომ ნატო-მ გარკვევით მიუთითა ქვეყანაში დემოკრატიულ რეფორმების მხრივ რეალური პროგრესის აუცილებლობის შესახებ, პრეზიდენტმა მრავალი ცვლილების ინიციატივა წამოაყენა, მათ შორის, პრეზიდენტთან მიმართებაში პარლამენტის უფლებამოსილებების გაზრდის, მედიისთვის მეტი თავისუფლების მინიჭების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კერძო საკუთრების უფლებების გაძლიერების შესახებ.

ქვეყანაში სააკაშვილზე ზეწოლა ხორციელდება, რაც კარგია, მაგრამ სწორედ ზეწოლის ხასიათი წარმოშობს პრობლემებს. ოპოზიცია აბსოლუტურად მართალი იყო, როდესაც პრეზიდენტს საომარი მოქმედებების, 2007 წლის ნოემბერში მშვიდობიანი დემონსტრანტების ავტორიტარულად დარბევისა და ბოლო საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შესახებ დაუსვა კითხვები.

მაგრამ ისინი ცდებიან, როდესაც მთელ თავიანთ ენერგიას პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაზე ხარჯავენ და თანაც ამის მიღწევის პირობას დებენ. ეს ძალზედ არაკონსტრუქციულია. რამდენადაც სააკაშვილის მოშორება, როგორც ჩანს, ოპოზიციის ერთადერთი მიზანია, ძალზედ საინტერესოა, თუ რისი იმედი აქვთ მათ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ.

მათ რომ შეეწყვიტათ სააკაშვილის გადადგომაზე აკვიატებული ფიქრი და ამის ნაცვლად რეალურად მიემართათ თავინთი მიზნები ქვეყნის კეთილდღეობისკენ, ისინი შესაძლოა რეალურად ეფექტურ ოპოზიციად ჩამოყალიბებულიყვნენ, რომელსაც იდეებით და უკვე პოტენციურადაც შეეძლებოდა პრეზიდენტის იძულება, ემოქმედა უფრო მეტი პასუხისმგებლობით.

ასეთ შემთხვევაში, ამ მიზნის მისაღწევად, მათ შეეძლოთ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მაგივრად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოეთხოვათ - დაახლოებით იგივე, რაც აქამდე სააკაშვილის ყოფილ მოკავშირე და ამჟამად ოპოზიციის ლიდერ ნინო ბურჯანაძეს სურდა.

ამჟამინდელი პარლამენტი ოდნავ თუ ჩამოგავს ნამდვილ დემოკრატიას. 134 ადგილიდან 119 პროსახელისუფლებო ნაციონალურ მოძრაობას უკავია. 16-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა კი, ვინც გასულ არჩევნებზე ეს ადგილები მოიპოვა, უარი თქვა მანდატებზე და ეს არჩევნების გაყალბებით ახსნა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა მართლაც დააფიქსირეს დარღვევები, მაგრამ არ განუცხადებიათ, რომ არჩევნები გაყალბებული იყო.

არჩევნები და უფრო მეტად დაბალანსებული პარლამენტი რეალურად შეძლებს პრეზიდენტის ნდობის გაზრდას ქვეყნის შიგნით და გარეთ. ეს იქნებოდა კონკრეტული ნაბიჯი დემოკრატიის გაღრმავების მიზნით და შესაძლებელი გახდებოდა უკეთესი საპარლამენტო კონტროლის დაწესება მის ავტოკრატიულ გამოვლინებებზე.

უნდა ვაღიარო, რომ ამ ეტაპზე სააკაშვილი გამორიცხავს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. მაგრამ, თუ ის გააგრძელებს ასე მოქმედებას და თუკი ოპოზიციაც გააგრძელებს, არჩევნების ჩატარების მოთხოვნის სანაცვლოდ, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას, ყოველივე ეს ერთად ქვეყანას სამუდამოდ ჩაითრევს 2009 წლის მძაფრ მორევში.

ᲐᲠᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ

ᲔᲙᲐ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲔ

არ ვიცი, რამდენი ნაბიჯი დაგვრჩა, ან გვგონია, რომ დაგვრჩა ნატომდე. რაც ცხადია, არის ის, რომ აიათოლა ხომეინის ირანს მიზანმიმამართულად და ბეჯითად ვუახლოვდებით. საზოგადოებრივ მაუწყებელზე "დიდი ათეულის" დახურვა სწორედ ამის საგანგაშო სიგნალია. საპატრიარქოს ზეწოლას, ამოეღოთ სიიდან წმინდანებად შერაცხული ცნობილი ქართველები, ვერავინ გაუძლო – ვერც გადაცემის ავტორებმა, ვერც სამეურვეო საბჭომ და ვერც ტელევიზიის ხელმძღვანელობამ.

გამოსავალი კომპრომისული ვარიანტი გახდა – ფორმატის შეცვლას და გადაცემის გაგრძელებას წმინდანებად შერაცხული აღმაშენებლის, ილიას, ექვთიმიე თაყაიშვილისა და სხვა მოღვაწეების გარეშე, საბჭომ პროექტის საერთოდ დახურვა ამჯობინა. თუმცა ეს კომპრომისი მხოლოდ იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ამ ქვეყანაში საპატრიარქოს "დაჟინებული თხოვნა" ყველაფერზე მაღლა დგას და ყველა სფეროში იჭრება – საპატრიარქოს უნდა შევუთანხმოთ, რას ვწერთ, რა სპექტაკლს ვდგამთ, რა გადაცემას ვამზადებთ, რა დღესასწაულის თუ მანიფესტაციის ჩატარება გვინდა, რომელი წიგნი უნდა წავიკითხოთ თუ რომელი ფილმი არ უნდა ვნახოთ.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა მწერალ ლაშას ბუღაძეს თამარ მეფეზე მოთხრობის დაწერის გამო თავში ჯვარი ურტყეს და როცა ამას საზოგადოება ტაშით და სიხარულით შეეგება; როცა წმინდა გიორგიზე სპეკტაკლის დადგმა საპატრიარქომ დაგმო და ამას სპექტაკლის ავტორებიცა და საზოგადოებაც სრული გაგებით შეხვდა; როცა ჰელოუინის აღსანიშნავად შეკრებილი ბავშვები სამღვდელოების წარმომადგენლებმა დაარბიეს და ეს ძალადობა ყველამ კმაყოფილებით შეირგო. სამაგიეროდ, არსებობენ პრივილეგირებული ადამიანები – ზურაბ წერეთლის წმინდა გიორგის ძეგლის დადგმას საპატრიარქო არ შეწინააღმდეგებია, თუმცა მართლმადიდებლობა კრძალავს წმინდანების ქანდაკებებს; ქეთი დოლიძეს შეუძლია თავისი სპექტაკლის გამო პატრიარქის კურთხევა მიიღოს, სამაგიეროდ, დანარჩენი რეჟისორების სპექტაკლები არ ანაღვლებს და თავგამოდებით იცავს ეკლესიის პოზიციას მომავალი პრივილეგიების მისაღებად.

როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს ერთმა პასტორმა თქვა, ხვალ ყველა ჩვენგანის დროც დადგება. ეს დღე დადგება ყველასთვის, ვისაც საპატრიარქოს კარზე პრივილეგიები რეჟისორ დოლიძესავით არა გვაქვს, საეკლესიო მაღალჩინოსნებს "მესიჯებს" ვერ ვუგზავნით ან ჩვენს მოძღვრებს ძვირადღირებულ ჯიპებს ვერ ვჩუქნით.

ეს ის საკითხია, რომელიც საპატრიარქოს შიგნიდან ითხოვს გადაჭრას. ეკლესიას სრული თავისუფლება აქვს, ღიად გამოხატოს თავისი აზრი ან პროტესტი. მაგრამ საზოგადოებასაც აქვს ასეთივე უფლება, მიიღოს ან არ მიიღოს ეს აზრი.

სეკულარულ, დემოკრატიულ სახელმწიფოში მთავარია საზოგადოების სიმტკიცე, დაიცვას პიროვნების არჩევანის თავისუფლება და, შესაბამისად, თავისუფალი საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი, დაწეროს რომანი თუ პოემა, გადაიღოს ფილმი, მოამზადოს გადაცემა იმის მიუხედავად, მოწონს თუ არა ეს ხელისუფლებას, საპატრიარქოს თუ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს.

"დიდ ათეულთან" დაკავშირებით ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ დღესაც სამურვეო საბჭოს წევრთა უმრავლესობას საპატრიარქოს მოთხოვნა დაუსაბუთებელად მიაჩია (ლოგიკურია, იგივეს ფიქრობდნენ გადაცემის ავტორები, რომლებიც გაურბიან ამ თემაზე საკუთარი აზრის გამოთქმას) და ამ მოთხოვნას არ ეთანხმება, მაგრამ იძულებულია, მას დაემორჩილოს.

ეს იძულება კი იმ კონიუნქტურიდან მოდის, რომელიც ამ საზოგადოების ყველა წევრისგან ითხოვს, შიშით იკანკალოს საპატრიარქოს წინაშე.

ეს შიში რაღაც თვალსაზრისით მეტაფიზიკურიც არის – ვაითუ საჯაროდ რომელიღაც სასულიერო პირის მიუღებელი პოზიციის დაგმობამ, მისთვის არაკომფორტული კითხვის დასმამ თუ მისი საქმიანობის მიმართ ლეგიტიმური ეჭვის გაჩენამ, ჩვენს თავზე ღვთის რისხვა გამოიწვიოს - ავად გავხდეთ, მოვკდეთ, სახლი დაგვენგრეს, ავარიაში მოვყვეთ და ასე შემდეგ.

ასე რომ, განმანათლებლობის ეპოქის არქონის შედეგებს დღემდე ვიმკით. ის ადამიანი კი, რომელმაც თავის თავზე ამ ეპოქის შექმნა იტვირთა, იმის გამო, რომ წმინდანად არის შერაცხული, ტაბუდადებულია და მისი მოღვაწეობის ხელახლა გააზრებასა და შეფასებაზე უარის თქმას გვაიძულებენ. თუ ჩვენ ამ იძულებას დავყევით, მაშინ ეს, პირველ რიგში, სწორედ ილია ჭავჭავაძის იდეების მარცხი იქნება.

საქართველოს ყველაზე დიდი პრობლემა დღეს ფუნდამენტური ღირებულებების მიმართ ამ საზოგადოების ამბივალენტური დამოკიდებულებაა - რა გვინდა, რისკენ ვისწრაფვით, რატომ გვინდა ნატო და ევროკავშირი და რატომ არ გვინდა რუსეთი? ეს ისტორიული არჩევანი, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ და რომელიც ძალიან ძვირი გვიჯდება, ერთადერთ რამეს – ღირებულებით არჩევანს ეფუძნება. ევროპა - ეს თავისუფალი საზოგადოებაა, სადაც პიროვნების თავისუფლება კონსტიტუციით არის დაცული. კონსტიტუცია კი მათთვის ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას.

ხოლო რუსეთი, სადაც ეკლესიამ კომუნისტური იდეოლოგია ჩაანაცვლა, ის დახურული საზოგადოებაა, რომელიც კრემლისა და ეკლესის მიერ შეთანხმებულად იმართება; სადაც ნეო-ფაშისტები განსხვავებული ეთნიკური და რასობრივი წარმომავლობის ადამიანებს რეკორდული სიხშირით კლავენ; სადაც 1968 წელს - პრაღაში, 2008 წელს კი საქართველოში რუსული ტანკების შესვლა საჯაროდ სულ შვიდმა ადამიანმა დაგმო; სადაც უცხოურ კომპანიებს წილში ან ეკლესია ან კრემლი უზის; სადაც პიროვნული თავისუფლების ღირებულება ნულის ტოლია. თუ ჩვენც ასეთი საზოგადოება, ასეთი სახელმწიფო გვინდა, მაშინ რისთვის ვიბრძოდით აგვისტოში?

ევროსასამართლოში განაცხადები იგზავნება

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ინფორმაციით, ევროსასამართლომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის შემდეგ, ევროსასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ სარჩელით 3300 ადამიანმა მიმართა. ევროსასამართლოს ინფორმაციით, სასამართლოში ამჟამად, 7 სარჩელი უკვე განიხილება, რომლებიც სასამართლოში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ექვსმა მაცხოვრებელმა და ერთმა რუსმა სამშვიდობომ შეიტანა.

"ის 3 ათასი სარჩელი რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერაა ინიცირებული", – აცხადებს მანანა კობახიძე.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებას საქართველოსგან ითხოვენ. სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილ სარჩელებში დასახელებულია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება, მე-3 მუხლი – წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის აკრძალვა, მე-8 მუხლი - პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, მე-13 მუხლი – სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების უფლება, მე-14 მუხლი - დისკრიმინაციის აკრძალვა და ქონების უფლება.

"სტრასბურგის სასამართლოში ცხინვალის მცხოვრებლების მიერ შეტანილი სარჩელები რუსეთის გენერალური პროკურატურის აქტიური მუშაობის შედეგია. სწორედ რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერაა ინიცირებული ის 3 ათასი სარჩელი," – ჩვენთან საუბრისას განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძემ.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტები ამზადებენ რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებელი ქართველების სარჩელებს სტრასბურგის სასამართლოში გასაგზავნად. ორგანიზაცია საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულებს სამართლებრივ დახმარებას უფასოდ უწევს და ასევე უფასოდ აპირებს მოსარჩელეების ინტერესების დაცვას ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში.

"ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეული სარჩელი სრულყოფილი და მტკიცებულებით გამყარებული იყოს. ის, რომ საქართველოს წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში ოსური მხარის მიერ 3 ათასი სარჩელია შეტანილი, არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი განსახილველად დასაშვები აღმოჩნდება. რაოდენობა მთავარი არ არის, მთავარია საჩივრის ხარისხი. რაოდენობა კი ხარისხს არ განსაზღვრავს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მანანა კობახიძემ.

სიცოცხლის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, იძულებითი შრომისა და საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტები – ასეთია იმ რუსეთის წინააღმდეგ მომზადებული საჩივრების საფუძვლები, რომლებზეც, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" გარდა, კიდევ ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს და სტრასბურგში უახლოეს დღეებში გაიგზავნება.

განაცხადები სტრასბურგში 8 თებერვლამდე უნდა გაიგზავნოს. მომზადებულია 30 საქმე. თუმცა, როგორც მანანა კობახიძე აცხადებს, ამ საქმეებში 60-ზე მეტი დაზარალებულია.

მანანა კობახიძე დარწმუნებულია, რომ რუსეთს მოუწევს საქართველოს დაზარალებულ მოსახლეობას მორალური და მატერიალური ზიანი აუნაზღაუროს და ყველა იმ ვალდებულების შეუსრულებლობაზე აგოს პასუხი, რაც ევროპის კონვენციითაა გათვალისწინებული და რაც დაარღვია.

"ის 3 ათასი სარჩელი რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერაა ინიცირებული," – აცხადებს მანანა კობახიძე.

საკუთარი ინფორმაცია

თავშესაფარი გერმანიასა და ჰოლანდიაში

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის უახლოეს მეგობარს, ფინანსური დარღვევების ბრალდებით საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილად გამოცხადებულ ბიზნესმენს ქიბარ ხალვაშს გერმანიამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

როგორც ოქრუაშვილის თანაპარტიელები, "მოძრაობა ერთიანის საქართველოს" წევრები აცხადებენ, მართალია ქიბარ ხალვაშს პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ მიუღია, თუმცა, მას ამის შესახებ სიტყვიერად უკვე აცნობეს.

"პოლიტიკური თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით, გერმანია ქიბარ ხალვაშს ოფიციალურ დოკუმენტს უახლოეს დღეებში გადასცემს," – აცხადებენ "მოძრაობა ერთიანი საქართველოს" წევრები. ამ ინფორმაციას ადასტურებს ხალვაშის ადვოკატი დიმიტრი გაბუნიაც.

პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო ოქრუაშვილის კიდევ ერთმა ახლობელმა, თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა იასონ ჩიხლაძემაც, რომელიც თავის დროზე, გერმანელმა სამართალდამცველებმა ბერლინის ერთ-ერთ სასტუმროში, თავდაცვის ყოფილ მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად დააკავეს. დაკავებიდან გარკვეული დროის შემდეგ, ოქრუაშვილი - საფრანგეთში, ჩიხლაძე კი ჰოლანდიაში გადაიყვანეს. ამსტერდამის სასამართლომ იასონ ჩიხლაძე წინასწარი პატიმრობიდან მალევე გაათავისუფლა. საქმის საბოლოოდ დასრულებამდე კი მას გადაადგილებასთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვები დაუწესდა. იასონ ჩიხლაძემ პოლიტიკური თავშესაფარი ჰოლანდიაში მიიღო. როგორც გაირკვა, ოფიციალურ დოკუმენტს, თავშესაფრის მინიჭების შესახებ, ქიბარ ხალვაშის მსგავსად, იასონ ჩიხლაძეც, მეტსახელად "ვოლკი", უახლოეს დღეებში მიიღებს.

ქიბარ ხალვაშის კუთვნილ კომპანიებთან დაკავშირებული დავა ქართულ მართლმსაჯულებას ჯერ არ დაუსრულებია. ამ ეტაპზე "არტი ჯგუფის," "ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" და "პრიზა" არ ფუნქციონირებენ. ეს კომპანიები 2007 წლის შემოდგომაზე დააყადაღეს. "არტი ჯგუფის," "ინტერნეიშენალ ბილდინგ კომპანის" და შპს "პრიზას" ადვოკატები სტრასბურგის სასამართლოსთვის ემზადებიან.

საქმე ისაა, რომ კომპანიები მიყენებულ ზარალს 100 მილიონ დოლარად აფასებენ და ამ ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. ქიბარ ხალვაშის ადვოკატები ირწმუნებიან, რომ ხელისუფლება ბიზნესმენის კუთვნილ კომპანიებს ხელოვნურად აკოტრებს. როგორც ადვოკატები აცხადებენ, საქართველოს მთავრობამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით, კანონის უხეში დარღვევით ათეულობით ადმინისტრაციული აქტი გამოსცა და საკმაოდ სოლიდური აქტივების მქონე საწარმოები მიზანმიმართულად გაანადგურა.

ქიბარ ხალვაშის კომპანიების ადვოკატები ყველა იმ მოსამართლეს უჩივიან, ვისაც კი ქიბარ ხალვაშის ქონების საქმესთან შეხება ჰქონია. ისინი მოსამართლეების თანამდებობიდან დათხოვნას და სამართლიან სასამართლოს მოითხოვენ.

გამოძიების მასალებით, ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს, თავდაცვის სამინისტრომ "პრიზასთან" და "ინტერნეშენალ ბილდინგ კომპანისთან" ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც, კომპანიებმა სენაკისა და გორის სამხედრო ბაზები ააშენეს. სამართალდამცველები კომპანიებს თაღლითობაში, სხვისი ქონების მითვისებასა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობასა და გადასახადების დამალვაში ედავებიან.

თავად ქიბარ ხალვაში კი, პოლიტიკური თანამდებობის პირების წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს. საქმე ტელეკომპანია "რუსთავი 2"-სა და "მზეში" ხალვაშის საკუთრებაში არსებული წილების ჩამორთმევას ეხება.

ქიბარ ხალვაშის ადვოკატის მაკა ბერაიას მტკიცებით, ბიზნესმენი "რუსთავი 2"-ს 78-პროცენტიან წილს, ხოლო "მზის" 22-პროცენტიან წილს ფლობდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილმა თანამდებობა დატოვა, ხალვაშს ტელეკომპანიებში კუთვნილი წილები მთლიანად ჩამოართვეს. ამ ფაქტების გამოძიების მიზნით, მთავარ პროკურატურაში ხალვაშის სახელით, საჩივარი 2008 წლის 1 დეკემბერს შევიდა.

ქიბარ ხალვაში ითხოვს, რომ საპარლამენტო კომისიის კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილი გამოძიების ჩატარების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ ფაქტს შესაბამისი რეაგირება მოჰყვეს.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელ იასონ ჩიხლაძეს. მის ბრალეულობაზე გენერალური პროკურატურა ორი წლის წინ, მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც ყოფილი გენპროკურორის, ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ახალი ბრალდებები დაემატა და რომლებიც ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდს უკავშირდებოდა.

გამოძიების მტკიცებით, 2006 წლის 27 ივნისს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა იასონ ჩიხრაძემ კანონის მოთხოვნათა სრული იგნორირებით გააფორმა ხელშკრულება 4 ათასი ტონა საავიაციო ნავთის თურქმენეთიდან მიღებაზე, რომლის საერთო ღირებულება 2 მილიონ 903 ათასი აშშ დოლარი იყო. გამოძიების მტკიცებითვე, ხელშკრულება გაფორმდა ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია "ეიჯი ტრანსპორტ ენდ დეველოპმენტთან". კონტრაქტით მოწოდებული ერთი ტონა საწვავის ფასი 725.7 დოლარით განისაზღვრა. საგამოძიებო ორგანოებში აცხადებდნენ, რომ იმ დროისთვის საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ღირებულება 671,2 დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს უკვე ჰყავდა ბენზინისა და სხვა საწვავის მიმწოდებელი კონტრაქტორი ფირმა შპს "ავიასაწვავსერვისი". გამოძიების მტკიცებით, ახალ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმების არანირი ობიექტური საბაბი არ არსებობდა. საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციით, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანია ხელოვნურად იყო ჩართული შუამავალ რგოლად და მისი ფაქტობრივი თანამფლობელები იყვნენ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები და მათთან დაახლოებული ბიზნესმენები. როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებდნენ, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი იასონ ჩიხრაძე პირადად აკონტროლებდა საწვავის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ეჭვმიტანილთა დაკავებისას პოლიციელი გარდაიცვალა

შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ოპერატიული სამძებრო ღონისძიება ნარკოტიკების რეალიზატორების წინააღმდეგ. სამართალდამცველებმა დააკავეს ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილები - ზურაბ ანდღულაძე და დავით მელქაძე.

შსს-ს ინფორმაციით, ზურაბ ანდღულაძემ დაკავებისას ცეცხლი გაუხსნა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებს, რის შედეგადაც გულ-მკერდის არეში მძიმედ დაიჭრა ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი თემურ ჭუმბურიძე, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ასევე მძიმედ დაიჭრა ინსპექტორ-გამომძიებელი, პოლიციის ლეიტენანტი გიორგი გურეშიძე, რომელიც გადაიყვანეს საავადმყოფოში.

ზურაბ ანდღულაძის და დავით მელქაძის პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 95 აბი "სუბუტექსი", "მაკაროვის" და "პესემის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღები. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ს 353-ე, 260-ე მუხლის მესამე და პირველი ნაწილით, 19-109-ე მუხლებით, რაც ითვალისწინებს უვადო პატიმრობას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს სამსახურეობრივი მოვალეობის დროს დაღუპული თემურ ჭუმბურიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

საკუთარი ინფორმაცია

გათავისუფლება ორთვიანი ტყვეობის შემდეგ

სომალელმა მეკობრეებმა ორთვიანი ტყვეობის შემდეგ ხომალდი "ფიუჩერი" გაათავისუფლეს. დანიური გემის ბორტზე ერთი ქართველი მეზღვაური იმყოფებოდა.

ქართველი მეზღვაურის სამშობლოში ტრანსპორტირების ხარჯებს დანიური მხარე სრულად უზრუნველყოფს.

გამოსასყიდის ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, მეკობრეებს ხომალდის გასათავისუფლებლად 2 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

სომალის სანაპიროებთან ხომალდი "ფიუჩერი" მეკობრეებმა 7 ნოემბერს გაიტაცეს.

პირველი

ინციდენტი წყნეთში

ავტომანქანა, რომელშიც სამი რუსი დიპლომატი იმყოფებოდა, გუშინწინ, საღამოს წყნეთის გზაზე განათების ბოძს შეეჯახა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ავარიის შედეგად რუს დიპლომატებს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

ავტომანქანის მძღოლიც და მგზავრებიც ნასვამები იყვნენ.

როგორც ცნობილია, რუსულ-ქართული დიპლომატიური ურთერთობების გაწყვეტის შემდეგ რუსი დიპლომატების ერთი ნაწილი თბილისში დარჩა, ისევე, როგორც რამდენიმე ქართველი დიპლომატი მოსკოვში.

პირველი

ხანძრის სამი შემთხვევა ერთ დღეში

გუშინწინ, გამთენიისას, გლდანის რაიონის პირველ მიკრორაიონში, საბითუმო ბაზრის შესასვლელთან ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ცეცხლის ლოკალიზება დროულად მოახერხეს და ავტომანქანა მთლიანი კორპუსის განადგურებას გადაარჩინეს.

როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურში აცხადებენ, ხანძარი შინდისფერ „ოპელ-ომეგას" გაუჩნდა. ხანძრის მიზეზად კი ავტომანქანის ძრავაში ელექტროსადენების მოკლე ჩართვა დასახელდა. ავტომანქანის მფლობელი ნიკოლოზ სამადაშვილია.

გუშინწინვე, თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იტალიური გაზის გასამართ სადგურზე მდგარ მიკროავტობუსს გაუჩნდა ცეცხლი. ცეცხლის შედეგად მიკროავტობუსი „ფოლკსვაგენი" მთლიანად დაიწვა. ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ავტომანქანის მფლობელი გიორგი ჯინჭარაშვილია.

ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე ძველი თბილისის უბანში, ბერძნის ქ.№14-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს. როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურის მორიგე აცხადებს, ხანძრის შედეგად მსუბუქი ხარისხის დამწვრობა მიიღო 60 წლის მოქალაქემ, ხოლო საცხოვრებელ სახლში დაიწვა საოჯახო ნივთები.

მედიანიუსი

მიმდინარეობს შპს ვიჩნაში -ს ლიკვიდაცია. გარდაბანი, აღმაშენებლის 81.

მსჯავრდებული პოლკოვნიკის გათავისუფლება - ურთიერთობის დაძაბვის კიდევ ერთი საბაბი

მკვლელობაში ბრალდებული პოლკოვნიკის გათავისუფლების შემდეგ, მოკლულის ოჯახის წევრები მართლმსაჯულების არაობიექტურობასა და უკანონობაზე საუბრობენ.

რუსულმა მართლმსაჯულებამ, ყველასთვის მოულოდნელად, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და 18 წლის ჩეჩენი გოგონას, ელზა კუნგაევას მკვლელობისთვის გასამართლებული რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი იური ბუდანოვი სასჯელისგან ვადამდე ადრე გაათავისუფლა.

იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლების პროცედურა გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატის საკასაციო სარჩელის განხილვამდე შეჩერებული იყო, თუმცა, როგორც გაირკვა, მისი გათავისუფლება ამ საჩივრის განხილვის გარეშე მოხდა - მოულოდნელად სასამართლომ დაზარალებული ოჯახის ინტერესების დამცველის სტანისლავ მარკელოვის სარჩელის განხილვაზე უარი თქვა. სასამართლო სხდომა 16 იანვარს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პროცესი არ გაიმართა და ცნობილი გახდა, რომ იური ბუდანოვმა კოლონია ვადამდე ადრე, 15 იანვარს დატოვა.

"დაზარალებული მხარის ადვოკატის სარჩელში პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული ფუნდამენტური დარღვევები მითითებული არ იყო, რის გამოც, სარჩელი საერთოდ არ განვიხილეთ," - ასეთი განმარტება გააკეთა სასამართლომ ყოფილი პოლკოვნიკის გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ მკვლელობისთვის მსჯავრდებული იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2008 წლის 24 დეკემბერს მიიღო. ეს გადაწყვეტილება ძალაში 2009 წლის 12 იანვარს უნდა შესულიყო, მაგრამ 11 იანვარს კუნგაევების ოჯახმა სასამართლოს საკასაციო სარჩელით მიმართა.

"იური ბუდანოვი უკანონოდ გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ წარმოებაში მიიღო საკასაციო სარჩელი, რომლითაც მსჯავრდებულის ვადამდე ადრე გათავისუფლებას ვაპროტესტებდით, მოულოდნელად, ამ სარჩელის განხილვის გარეშე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება. ყველა კანონიერ გზას გამოვიყენებ იმისთვის, რომ ყველამ, ვინც კი ამ უკანონობაში ურევია, სისხლის სამართლებრივი წესით პასუხი აგოს, რადგან მათ ქმედებაში თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება იკვეთება," - აცხადებდა კუნგაევების ოჯახის ინტერესების დამცველი სტანისლავ მარკელოვი, რომელიც რამდენიმე დღის წინ დარწმუნებული იყო, რომ საკასაციო სარჩელით რუსული მართლმსაჯულების ისტორიაში პრეცედენტს შექმნიდა.

ბუდანოვის გათავისუფლებისთანავე, ჩეჩნეთში ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია ჩატარდა. საპროტესტო აქციები ჩატარდა მაშინაც, როგორც კი ინფორმაცია გავრცელდა ბუდანოვის შესაძლო ვადამდე ადრე გათავისუფლების თაობაზე. ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა და ომბუდსმენმა მკაცრი განცხადებები გააკეთეს.

მოკლული გოგონას ოჯახის წევრები და ახლობლები რუსული მართლმსაჯულების არაობიექტურობასა და უკანონობაზე საუბრობენ. კუნგაევების ოჯახი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გეგმავს.

ჩეჩნეთის ადამიანის უფლებათა დამცველები კი იმუქრებიან, რომ იური ბუდანოვის ციხეში დაბრუნებას შეძლებენ, რადგან მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების შესახებ მტკიცებულებები გააჩნიათისინი ასევე აცხადებენ, რომ აქვთ ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქეების უამრავი წერილი, რომლებშიც იური ბუდანოვის დანაშაულები დეტალურად არის აღწერილი და რომლებიც ყოფილმა პოლკოვნიკმა 2002 წელს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჩაიდინა.

1998 წლიდან 2000 წლამდე, ჩეჩნეთის ომის დროს, იური ბუდანოვი სატანკო პოლკს მეთაურობდა. 2000 წლის 27 მარტს ის ჩეჩნეთში, ტანგი-ჩუს დასახლებაში, ერთ-ერთ ოჯახში შეიჭრა, საიდანაც 18 წლის ელზა კუნგაევა გაიტაცა. გატაცებული გოგონა პოლკოვნიკმა სამხედრო ნაწილში წაიყვანა და მისგან ჩეჩენი სნაიპერების თაობაზე ინფორმაცია მოითხოვა. დაკითხვის დროს პოლკოვნიკმა გოგონა სასტიკად სცემა, ბოლოს კი გაგუდა. მოკლული ახალგაზრდის ცხედარი ბუდანოვმა სამხედრო ნაწილთან ახლოს დამარხა, თუმცა მეორე დილას განცხადება დაწერა და ჩადენილი დანაშაული დეტალურად აღწერა. ის მკვლელობიდან მეორე დღესვე დააკავეს.

რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკის გათავისუფლების თემა უცხოურ პრესაშიც აქტუალურია. უცხოური პრესა ვარაუდობს, რომ იური ბუდანოვის ვადამდე ადრე გათავისუფლება რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გართულების მიზეზი გახდება.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს, სასამართლო სამედიცინო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებული ბუდანოვი შეურაცხადად გამოცხადდა და ის სასამართლომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა, რამაც როგორც ჩეჩნების, ასევე რუსეთის გარკვეული წრეების აღშფოთება გამოიწვია. ამის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სასწრაფოდ შეცვალა და შეურაცხადად გამოცხადებული პოლკოვნიკი ხელახლა დაადანაშაულა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, ადამიანის გატაცებასა და განზრახ მკვლელობაში. ბუდანოვი ციხეში დააბრუნეს, რის შემდეგაც, მან, ვადამდე ადრე გათავისუფლების მოთხოვნით, ოთხჯერ დაწერა განცხადება. მის ხელახლა გათავისუფლებას რუსული მართლმსაჯულება აქამდე ვერ ბედავდა.

საქმე №2/4300-08
დაუსწრებელი გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

12 დეკემბერი, 2008 წელი ქ. თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - ლელა კალიჩენკო
საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენით
მოსარჩელე - ქრისტინა გუკასიანი
წარმომადგენელი - როინ მიგრიაული
მოპასუხე - რევაზ გახარია
ლილიანა გახარიას წარმომადგენელი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო
დავის საგანი - რევაზ გახარიასათვის არასრულწლოვანი შვილის ლილიანა გახარიას მიმართ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღებასა და საქართველოდან გაყვანაზე თანხმობის (ნებართვის) გაცემის უფლებების შეზღუდვა, ლილიანა გახარიასათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა მამის რევაზ გახარიას თანხმობის გარეშე და ლილიანა გახარიას საქართველოდან გასვლისა და საქართველოს საზღვრების მამის რევაზ გახარიას თანხმობის (ნებართვის) გარეშე დატოვება.

სარეზოლუციონაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 230-ე, 234-ე, 236-237-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ქრისტინა გუკასიანის (წარმომადგენელი როინ მიგრიაული) სარჩელი, მოპასუხე რევაზ გახარიას მიმართ, რევაზ გახარიასათვის არასრულწლოვანი შვილის ლილიანა გახარიას მიმართ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღებასა და საქართველოდან გაყვანაზე თანხმობის (ნებართვის) გაცემის უფლებების შეზღუდვის, ლილიანა გახარიასათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის მამის რევაზ გახარიას თანხმობის გარეშე და ლილიანა გახარიას საქართველოდან გასვლისა და საქართველოს საზღვრების მამის რევაზ გახარიას თანხმობის (ნებართვის) გარეშე დატოვების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე რევაზ გახარიას შეეზღუდოს უფლება არასრულწლოვანი შვილის ლილიანა გახარიას მიმართ საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღებასა და საქართველოდან გაყვანაზე თანხმობის (ნებართვის) გაცემა, ლილიანა გახარიას საქართველოდან გასვლა და საქართველოს საზღვრების დატოვება განხორციელდეს მამის რევაზ გახარიას თანხმობის გარეშე.

3. მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

4. მოპასუხეს განემარტოს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე შეუძლია, შემოიტანოს საჩივარი ამავე სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

მოსამართლე ლელა კალიჩენკო

ისრაელმა ცეცხლი ცალმხრივად შეწყვიტა

პირველი გვერდიდან

ღაზას სექტორში მოქმედი რადიკალური ექსტრემისტული დაჯგუფება "ჰამასის" ბოევიკების თქმით, ისინი წინააღმდეგობას მანამდე გააგრძელებენ, ვიდრე ისრაელის არმია ანკლავის ტერიტორიას არ დატოვებს.

სარაკეტო იერიშამდე ცოტა ხნით ადრე ლტოლვილთა ბანაკ ჯაბალიას მახლობლად ისრაელელ ჯარისკაცებსა და "ჰამასის" ბოევიკებს შორის შეტაკებაც მოხდა. თუმცა, მიმომხილველთა თქმით, ზოგადად მდგომარეობა ღაზას სექტორში მშვიდი რჩება.

ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შემდეგ, რომელიც 18 იანვარს ადგილობრივი დროით ღამის 02:00 საათზე შევიდა ძალაში, პალესტინელებმა ღაზას სექტორში ნანგრევებში მოყოლილი ასობით დაღუპულის ცხედრის გადასვენება მოახერხეს. ექიმთა განცხადებით, სამხედრო ოპერაციას პალესტინელთა მხრიდან 1 300, ხოლო ისრაელის მხრიდან 13 კაცი ემსხვერპლა.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" თანახმად, კვირა საღამოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადება "ჰამასმა" და მასთან ერთად პალესტინაში მოქმედმა სხვა დაჯგუფებებმაც გააკეთეს. ამასთან პალესტინელებმა წამოაყენეს პირობა, რომლის თანახმადაც, ისრაელს ღაზას ტერიტორიიდან თავისი შეიარაღებული ძალების გაყვანისთვის ერთი კვირა აქვს.

AFP ' 2009

"ცეცხლის შეწყვეტა არასაკმარისია"

პალესტინის ავტონომიის მეთაურის თქმით, ცეცხლის შეწყვეტით პრობლემა არ გვარდება. მაჰმუდ აბასმა ღაზას სექტორიდან ისრაელის არმიის სრულად გაყვანა მოითხოვა.

"ცეცხლის შეწყვეტა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი," – განაცხადა ავტონომიის მეთაურმა.

ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტით რომ პრობლემა მართლაც ვერ გვარდება, აშკარაა. პალესტინის ტერიტორიაზე მოქმედი რადიკალური დაჯგუფება ასე იოლად არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას. "ჰამასის" წარმომადგენელთა განცხადებით, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ისრაელის ცალმხრივი გადაწყვეტილება "არ ნიშნავს აგრესიის დასრულებასა და ალყის მოხსნას."

"ეს ქმედებები ომის აქციებია, ამიტომ წინააღმდეგობა ამით არ დასრულდება," – განაცხადა საინფორმაციო სააგენტო "როიტერთან" საუბარში რადიკალური მოძრაობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფავზი ბარჰუმმა.

ვაშინგტონი სამხედრო ოპერაციის დასრულებას მიესალმება

ისრაელის მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილებას მოწონებით შეხვდნენ შეერთებულ შტატებში.

"ოფიციალური ვაშინგტონი მიესალმება ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციის შეწყვეტას და ელის, რომ ყველა მხარე დაუყოვნებლივ იტყვის უარს თავდასხმასა და მტრულ მოქმედებებზე," – ნათქვამია კონდოლიზა რაისის შაბათ საღამოს გამოქვეყნებულ სიტყვაში.

დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული ეგვიპტის დადებითი როლი კონფლიქტის რეგულირებაში, გამოთქმულია შეშფოთება პალესტინის მოსახლეობის მძიმე ცხოვრების გამო და მზადყოფნა ღაზას სექტორის მცხოვრებთათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად.

დიპლომატიური პროგრესი

ოფიციალურმა თელ-ავივმა ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მისი დაწყებიდან 22-ე დღეს მიიღო. ისრაელის ხელისუფლების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარკ რეგევმა ეგვიპტის შუამავლობით გამართული მოლაპარაკებების დადებით შედეგებზე ჯერ კიდევ პარასკევს ისაუბრა და სამშვიდობო შეთანხმების მალე მიღწევის იმედი გამოთქვა. შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც "ჰამასის" ხელმეორედ შეიარაღებისთვის ხელისშემშლელ ზომებს ითვალისწინებს, თუკი ისრაელი ცეცხლის შეწყვეტას დათანხმებოდა.

პარასკევს გაერო-ს გენერალური ასამბლეის საგანგებო სხდომაზეც მიიღეს რეზოლუცია ღაზას სექტორში ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. რეზოლუციის თანახმად, ცეცხლის შეწყვეტას პალესტინური ანკლავიდან ისრაელის შეიარაღებული ძალების სრულად გაყვანა უნდა მოჰყვეს. გუშინ კი კაიროში საერთაშორისო სამიტი უნდა გახსნილიყო, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პერსპექტივას მიეძღვნებოდა. შეხვედრაში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიისა და ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – ჩეხეთის ლიდერებმა. ფორუმზე დასწრებას ასევე გეგმავდნენ გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნი, პალესტინის ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი და ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი. გაურკვეველი რჩებოდა, მიიღებდა თუ არა სამიტში მონაწილეობას ისრაელის მხარე, "ჰამასი" კი მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის არც მიუწვევიათ.

რუსეთ-უკრაინის შეთანხმება

ევროპას გაზის მიწოდება აღუდგება

მკაცრი ზამთრის პირობებში რუსეთის ბუნებრივი გაზის შეწყვეტის გამო დაწყებული დავა დასასრულს მიუახლოვდა. "გაზპრომში" უკრაინასა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმებისთვის საჭირო დოკუმენტაციას ამზადებენ. რუსული კონცერნის ოფიციალურ წარმომადგენელ სერგეი კუპრიანოვის განმარტებით, "რუსეთისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრებს შორის მიღწეული შეთანხმებით, "გაზპრომი" და "ნეფტოგაზ უკრაინა" ხელმოსაწერად ამზადებენ დოკუმენტებს, რომლებიც უკრაინისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებასა და ევროპისთვის ტრანზიტის აღდგენას ეხება."

უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინის გავლით ევროპაში რუსეთის ბუნებრივი გაზის ტრანზიტის აღდგენა დღეს იქნება შესაძლებელი.

AFP ' 2009

პუტინისა და ტიმოშენკოს შეხვედრა მოსკოვში.

"ამ დოკუმენტების ხელმოწერისთანავე აღდგება ბუნებრივი გაზის მიწოდება. დღეს საკმაოდ რთული, მაგრამ ნაყოფიერი მოლაპარაკებები გვქონდა," – აღნიშნა თავის მხრივ, იულია ტიმოშენკომ.

შეხვედრაზე მხარეები ბუნებრივი გაზის საფასურზეც შეთანხმდნენ. რუსეთის პრემიერის განცხადებით, ბუნებრივი გაზის საფასური ევროპული ფორმულით ჩამოყალიბდა.

"შევთანხმდით, რომ 2010 წლისთვის გაზზე ფასებს ევროპული ფორმულით ჩამოვაყალიბებთ. 2009 წელს უკრაინელ პარტნიორებს ბუნებრივ გაზს 20-პროცენტიანი ფასდაკლებით მივყიდით, მაგრამ უკრაინის გავლით ევროპელი პარტნიორებისთვის გაზის ტრანზიტზე 2008 წლის შეღავათები შენარჩუნდება," – განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

მოლაპარაკებების დროს ოფიციალური მოსკოვი "ევროპულ ფასში" ათას კუბურ მეტრ საწვავზე 450 აშშ დოლარს გულისხმობდა, მაგრამ თუკი ამაში ფასდაკლებასაც გავითვალისწინებთ, უკრაინას "ცისფერი საწვავის" შესყიდვა 360 აშშ დოლარად მოუწევს, რაც 2008 წლის ფასთან შედარებით, ორჯერ ძვირია. ოფიციალური კიევი, თავის მხრივ, თავიდან ცდილობდა, რუსეთი ათას კუბურ მეტრში 203 აშშ დოლარზე დაეყოლიებინა.

2008 წელს ტრანზიტზე ტარიფი შეადგენდა 1.7 აშშ დოლარს ათას კუბურ მეტრზე ას კილომეტრზე, რაც ევროპულთან შედარებით, დაახლოებით, ორჯერ მცირეა.

ევროკომისია რუსეთ-უკრაინას შორის მიღწეულ შეთანხმებას მიესალმება. **"კომისია რუსეთისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრების განცხადებებს მიესალმება, განსაკუთრებით კი, შეთანხმების იმ ნაწილს, სადაც საუბარია, რომ გაზის მიწოდების აღდგენა უკვე ორშაბათისთვისაა შესაძლებელი,"** - ნათქვამია ბრიუსელში ევროკომისიის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში.

მთავრობის სახლში ორსაათიანი საუბრის შემდეგ პუტინმა და ტიმოშენკომ გეზი კრემლისკენ აიღეს, სადაც რუსეთის პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ევროკომისიისა და გაზის მომხმარებელი ქვეყნების წარმომადგენლებს ხვდებოდა. კონფერენცია დახურულ კარს მიღმა ჩატარდა. პრესისთვის გამართულ ბრიფინგზე კი მედვედევმა უკრაინის მიერ ბუნებრივი გაზის მოპარვის შემთხვევაში ფინანსურ გარანტიებისა და ბალტიისა და შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენების მშენებლობის გეგმების შესახებ ისაუბრა.

ვლადიმირ პუტინის სურათი "ქარგა დათრთვილულ ფანჯარაზე" 37 მლნ რუბლად გაიყიდა

რუსეთის პრემიერ ვლადიმირ პუტინის სურათი "ქარგა დათრთვილულ ფანჯარაზე" საქველმოქმედო აუქციონზე 37 მლნ რუბლად გაიყიდა. პუტინის სურათი ყველაზე ძვირადღირებული ლოტი აღმოჩნდა. მისმა ღირებულებამ გადააჭარბა სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორ ვალენტინა მატვიენკოს სურათის "თოვლიანი ქარბუქის" ფასს, რომელიც 11,5 მლნ რუბლად გაიყიდა. პუტინის სურათი შეიძინა მოსკოვის გალერეამ "ნაშ ხუდოჟნიკ."

წელს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ტრადიციულ საშობაო ბაზრობაში პირველად მიიღო მონაწილეობა. რუსული საზოგადოების ცნობილი სახეები რუსული ანბანის ასოებისთვის ნიკოლოზ გოგოლის მოთხრობის, "ღამე შობის წინ" მოტივების მიხედვით ილუსტრაციებს ყოველდღე ხატავდნენ.

საქველმოქმედო აუქციონზე სურათების გაყიდვით შემოსული თანხა N2 საბავშვო საავადმყოფოსა და წინდა ეკატერინეს ტაძრის აღდგენას მოხმარდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ბარაკ ობამა ინაუგურაციისთვის ვაშინგტონში ჩავიდა

საინფორმაციო სააგენტო „ესოშიეიტიდ პრესის" თანახმად, აშშ-ს არჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა ინაუგურაციისთვის, რომელიც 20 იანვარს გაიმართება, ფილადელფიიდან ვაშინგტონში მატარებლით ჩავიდა. მოგზაურობაში, რომელიც თითქმის მთელ დღეს გაგრძელდა, ობამამ აბრაამ ლინკოლნის მიერ 1861 წელს განვლილი გზა გაიმეორა. გზაზე ის რამდენიმეჯერ შეჩერდა ამერიკელთა წინაშე.

"ბევრ თაობას არ მოუხდა ისეთი გამოცდების გადალახვა, როგორიც დღესაა," - განაცხადა ობამამ ფილადელფიაში, სადაც თავის დროზე თავისუფლების დეკლარაცია მიიღეს.

მისი თქმით, ერის წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემებია: შერყეული ეკონომიკა, ომი ერაყსა და ავღანეთში, გლობალური დათბობა და ნავთობზე დამოკიდებულება.

შტატ დელავერის ქალაქ უილმინგტონში ობამას მომავალი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი შეუერთდა. ობამამ მასთან შესახვედრად მისულ ამერიკელებს შეახსენა, რომ სწორედ დელავერი იყო პირველი შტატი, სადაც აშშ-ს კონსტიტუციის რატიფიცირება მოხდა.

ამერიკის შეერთებული შტატების რიგით 44-ე პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ დაესწრება. ცნობილია, რომ ბარაკ ობამას ინაუგურაციაზე დასასწრებად აშშ-შ საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი გაემგზავრება.

ჯი-ეიჩ-ენი

ფრანგული ვერტმფრენი ატლანტიკის ოკეანეში ჩავარდა

ფრანგული ვერტმფრენი, ბორტზე ათი სამხედრო მოსამსახურით, ატლანტიკის ოკეანეში, კუნძულ გაბონთან ჩამოვარდა. ვერტმფრენი ერთობლივ სწავლებაში მონაწილეობდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მოითხოვა, რომ ყველა საშუალება გამოიყენონო სამხედროთა მოსაძებნად. შემთხვევის ადგილისკენ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ერვე მორენი გაემგზავრა.

მედიანიუსი

იემენთან ოთხი გემი ჩაიძირა

იემენთან ოთხი სამგზავრო გემი ჩაიძირა. გემების ბორტზე 400-ზე მეტი ემიგრანტი და დევნილი იმყოფებოდა.

ორი გემი, რომელთა ბორტზეც, დაახლოებით, 300 ადამიანი იმყოფებოდა, წითელი ზღვის აკვატორიაში ჩაიძირა. შესაძლებელი გახდა მხოლოდ 30 მგზავრის გადარჩენა. კიდევ ერთი გემი, საიდანაც მაშველებმა 80 კაცის გადარჩენა შეძლეს, არაბეთის ზღვაში ჩაიძირა. მეოთხე გემმა კი კატასტროფა ბაბ-ელ-მანდების სრუტეში განიცადა.

გაერო-ს წარმომადგენლობის განცხადებით, სამაშველო ოპერაცია ცუდი კლიმატური პირობების გამო გართულებულია.

მედიანიუსი

CMYK - 8

აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!

გახსენით
პოვერტირებადი ანაბარი
ბანკ "რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

თქვენი ანაბრის ვალუტის ჯურსი ეცემა?

ჯონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

თუ გახსნილი გაქვთ ჯონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანალდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

ჯონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელისის ფილიალი	ალ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
სადგურის ფილიალი	რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
დიდუბის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556
პეკინის ფილიალი	პეკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლუღის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
აღმაშენებლის ფილიალი	აღმაშენებლის გამზ. 112	243585
ვაჟა - ფშაველას ფილიალი	ვაჟა - ფშაველას გამზ. 71	244114
დიღმის ფილიალი	დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი	518515
სანზონის ფილიალი	გურამიშვილის გამზ. 34	653515

რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	8(231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(888 222) 759 26
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	8 (211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	8 (215) 50008
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8 (24) 12 55 55
ფოთის ფილიალი	აღმაშენებლის ქ. 50	8 (293) 7 00 87
თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ. 4	8 (250) 70040
სიღნაღის ფილიალი	თამარ მეფის ქ. 1	8 (255) 31037

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

CMYK - 9

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲙᲝᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲤᲘᲜᲔᲑᲐ

2009 წლის 20 იანვარს ათენის ბენაკის მუზეუმში კოლხური საგანძური გამოიფინება. ამ მეტად საინტერესო ექსპოზიციისათვის საბერძნეთში უკვე დიდი ხანია ემზადებიან. გარდა მხატვრული და მეცნიერული ღირებულებისა, საბერძნეთისათვის მედეას ოქრო მნიშვნელოვან მითოლოგიურ დატვირთვას ატარებს და გამოფენის კონცეფციაც სწორედ ამ კუთხით აიგება.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამნისტროს პროექტ "ქართული სეზონის" ფარგლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ 2007-2008 წლებში ორგანიზებულ კოლხეთის საგანძურის გამოფენებს ევროპასა და ამერიკაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა როგორც მასმედიაში, ასევე დამთვალიერებელთა მხრიდან. მილიონობით ადამიანმა გაიცნო საქართველო, მისი უნიკალური წარსული. უძველესი ღვინის მწარმოებელი და ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ადგილობრივი კულტურა.

მსოფლიოს ცნობილი ტელეარხები, გაზეთები და ჟურნალები ვრცელ სიუჟეტებს და სტატიებს უძღვნიდნენ მათთვის ამ მეტად უჩვეულო და უნიკალურ კულტურის ამსახველ ექსპოზიციებს.

"მედეას ოქრო - ახალი აღმოჩენები საქართველოდან", ასე ეწოდებოდა ბერლინის ანტიკური კოლექციების ალტეს მუზეუმში გამოფენილ ექსპოზიციას. შემდგომ იყო ნიცა და პარიზი: "ოქროს საწმისის ოქრო - საქართველოს საგანძური" - ამ გამოფენამ მთელი საფრანგეთი აალაპარაკა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლხური საგანძური ვაშინგტონის სმითსონიანის ინსტიტუტში, ნიუ-იორკის, ანტიკური სამყაროს კვლევის ცენტრსა და ჰიუსტორის ხელოვნების მუზეუმში იყო გამოფენილი. "ღვინის კულტი და მსხვერპლთშეწირვა - ანტიკური ვანის ოქროს სამარხები" - გამოფენების ამერიკული ტურნე სწორედ ამ სათაურით მიმდინარეობდა. ამერიკის შემდეგ ექსპოზიცია კემბრიჯის ფიცვილიამის მუზეუმში იყო წარმოდგენილი.

გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ქ. ვანში აღმოჩენილი ანტიკური ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები. შეირჩა 83 დასახელების ექსპონატი (თავსამკაულები, სასაფეთქლეები, ყელსაბამები, ბეჭდები, დიადემები, სუდარაზე მისაკერებელი ღილაკები, სამაჯურები, სხვადასხვა სახის მძივები, ბრინჯაოსა და რკინის ქანდაკებები). **მედიანიუსი**

"ევროვიზია 2009"-ის მონაწილე ქვეყნები უკვე ცნობილია

ევროპის სამაუწყებლო კავშირმა ევროვიზიის კონკურსში მონაწილე იმ ქვეყნების სია გადაახალისა, რომლებიც ევროვიზიის 54-ე კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას. კონკურსი მოსკოვში გაიმართება.

სიაში უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა. ევროვიზიის კონკურსში მონაწილეობის სურვილი არ გამოუთქვამს სან-მარინოს და კომისიისათვის არც ამის მიზეზი აუხსნია.

საქართველომ კი, რომელიც აგვისტოს ომის გამო მოსკოვში დაგეგმილ კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმას აპირებდა, განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ უკვე გაგზავნა.

კონკურსში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ბოლო მომენტში მიიღო ლატვიამ. მიზეზად, არსებული ეკონომიკური კრიზისი დასახელდა. თუმცა, საბოლოოდ, ლატვიამ საკუთარი კანდიდატისათვის საჭირო თანხების მოზიდვა მაინც შეძლო. 10 წლიანი პაუზის შემდეგ კონკურს კვლავ უბრუნდება სლოვაკეთი. ევროვიზიის ხელმძღვანელები ცდილობენ კონკურსში კვლავ ჩართონ: იტალია, ლუქსემბურგი და ავსტრია.

გასული წლის "ევროვიზიის" გამარჯვებული 5 ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ბრიტანეთი და რუსეთი კი, კონკურსში მონაწილეობას ავტომატურად მიიღებენ. კონკურსის ფინალი 16 მაისს გაიმართება. 30 იანვრისათვის დაგეგმილ შეხვედრაზე კი, საბოლოოდ გადაწყდება ნახევარფინალისტებს გამოსვლა 12 ივნისს მოუწევთ, თუ 14 ივნისს. მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა კონკურსის წინა მასპინძლის, ბელგრადის მერის მიერ მისთვის კონკურსის სიმბოლური გასაღების გადაცემისას დასძინა, რომ ეკონომიკური კრიზისი კონკურსზე გავლენას არ იქონიებს და "ევროვიზია" საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ტომ კრუზი ჰიტლერის მოკვლაზე ყოველთვის ოცნებობდა

ჰოლივუდის ცნობილმა ვარსკვლავმა, ტომ კრუზმა, რომელიც ადოლფ ჰიტლერის სიკვდილიდან 17 წლის შემდეგ დაიბადა განაცხადა, რომ ფაშისტების ლიდერის მოკვლაზე ყოველთვის ოცნებობდა.

ეს განცხადება ვარსკვლავმა პრესკონფერენციაზე გააკეთა, როცა თავის ბოლო ნამუშევარზე, ფილმ, "ოპერაცია ვალკირიაზე" (Valkyrie) საუბრობდა.

"მე ჰიტლერის მოკვლა ყოველთვის მინდოდა. ამ ბიჭს ვერ ვიტან", - განაცხადა კურზმა. მსახიობმა ეს ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა თუ რატომ დათანხმდა ამ ფილმში მონაწილეობას.

46 წლის მსახიობი ფილმში გერმანელი ოფიცრის როლს ასრულებს. სურათში 1944 წელს ოფიცრების ჯგუფის მიერ ჰილტლერზე თავდასხმის წარუმატებელი მცდელობის ისტორიული ფაქტია აღწერილი. ოფიცერთა ჯგუფს პოლკოვნიკი კლაუსონ შენკონ გრაფომ ფონ შტაუნფენბერგი ხელმძღვანელობდა, რომლის როლს ფილმში კრუზი ასრულებს.

"შტაუნფერბერგისა და მისი ცხოვრების შესწავლისას მე მისით აღვფრთოვანდი. იმის მიუხედავად, რომ ისტორია მეორე მსოფლიო ომის დროს ხდება მე ის დაუბერებლად მიმაჩნია", - განაცხადა კრუზმა პრესკონფერენციაზე სეულში, სადაც ახალი ჰოლივუდური ფილმის პრეზენტაცია იმართება. სურათის რეჟისორის, ბრაიან სინგერის თქმით, აზიურ ქვეყნებში სამხრეთ კორეა "ოპერაცია ვალკირიას" საჩვენებლად პირველად იმიტომ აირჩიეს, რომ ამ ქვეყანაში მაღალი მოთხოვნაა, როგორც ადგილობრივ ფილმებზე ასევე უცხოურ წარმოებაზეც. **ჯი-ეიჩ-ენი**

ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲜᲘ

ის, რაც ძვირად ფასობს მსოფლიოს დიდ აუქციონებზე

ახლახანს, ათენის აუქციონზე 1,5 ათას ევროდ გაიყიდა ცნობილი ფრანგი მომღერალი ქალის, წარმოშობით ბერძენი - ედიტ პიაფის სასიყვარულო წერილები.

წერილების ახალი მეპატრონე კოლექციონერია, რომელმაც საკუთარი სახელის გახმაურება არ ისურვა. ეს წერილი მომღერალმა 1946 წელს, ბერძენ მსახიობ დიმიტრის ჰორნს მისწერა, რომელიც ტაკის ჰორნის სახელითაც გახლდათ ცნობილი. ექვსი წლით უმცროსი ჰორნი პიაფმა 1946 წელს, ათენში გამოსვლებისას გაიცნო.

ჰორნისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც აუქციონზე გაიყიდა, პიაფი, ძირითადად, წერს: "მე შემწევს ძალა ყველაფერი გავიღო შენთვის. მე ვიცი, რომ შემიძლია ბედნიერი გაგხადო. მე ასევე ვიცი, რომ ბოლომდე შემიძლია გაგიგო".

ჰორნს, რომელიც ორჯერ იყო დაქორწინებული და პარალელურად, მრავალწლიან რომანტიულ ურთიერთობას ათენის ერთ-ერთ პოპულარულ მსახიობ ქალთანაც ინარჩუნებდა, 1989 წლამდე, ანუ სიკვდილამდე, საჯაროდ, არცერთხელ არ წამოსცდენია რაიმე ედიტ პიაფთან დაკავშირებით.

ცხადია, ედიტ პიაფის წერილი ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ აუქციონებზე ცნობილი ხელოვანების სასიყვარულო წერილების გაყიდვისა... იგივე მარია კალასის შემთხვევაშიც განმეორდა.

უფრო კონკრეტულად კი, მილანის Sotheby's სახლში გამართულ აუქციონზე 1977 წელს, 53 წლის ასაკში გარდაცვლილი ბერძენი ოპერის მომღერალის – მარია კალასის წერილები, ფოტოები და კაბები გაიყიდა. აუქციონზე წარმოდგენილი ყველა ლოტი მარია კალასის მეუღლის – ჯოვანი ბატისტა მენეგინის საკუთრება გახლდათ.

სასიყვარულო წერილების კოლექცია, რომელიც კალასმა მენეგინის მისამართით დაწერა, 50-70 ათას ევროდ იყო შეფასებული. ამასთან დაკავშირებით, სააგენტო "Reuters"-ი იმასაც იტყობინებოდა, რომ რელიკვიების შეძენით საბერძნეთის კულტურის სამინისტრო ხშირად ინტერესდებაო.

მარია კალასი მენეგინს, იტალიელ მეწარმეს და ოპერის ფანატიკურ მოყვარულს, ცოლად 1949 წელს გაჰყვა. 1959 წლამდე ის მისი მენეჯერიც გახლდათ. მარიას გარდაცვალების შემდეგ კი, 1977 წელს მენეგინმა აუქციონებზე ყველა ის რელიკვია შეისყიდა, რომელიც კალასის სახელს უკავშირდებოდა. თავად მენეგინი 1981 წელს გარდაიცვალა.

ლონდონის Christie's აუქციონზე კი, რეკორდულ ფასად გაიყიდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ვნებიანი შინაარსის წერილი, რომელიც მან მის მომავალ მეუღლეს - ჟოზეფინა დე ბოგარნეს მისწერა. ეს წერილი Christie's აუქციონზე 557 ათას დოლარად (276 ათასი ფუნტი სტერლინგი) შეიძინეს. თუმცა, ვარაუდობდნენ, რომ ნაპოლეონის სიყვარულის ეს დოკუმენტი 50 ათას ფუნტზე მეტად არ გაიყიდებოდა, მაგრამ ამ წერილმა მყიდველთა შორის განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია და რეკორდიც მოხსნა.

აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის ეს წერილი ისტორიულ მოღვაწეთა, მეცნიერთა და ლიტერატორთა წერილების იმ კოლექციაში შედიოდა, რომელიც შვეიცარიელ იურისტს - ალბინ შრამს ეკითვნოდა. მისი ამ კოლექციის არსებობის შესახებ თვით მისმა ახლო ნათესავებმაც კი არაფერი იცოდნენ. მათ ავტოგრაფებით სავსე კარადას მხოლოდ შარმის გარდაცვალების შემდეგ, მისი სახლის სარდაფში მიაკვლიეს. აუქციონებზე მათმა საერთო ღირებულებამ 7,7 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამასთან, ისიც საინტერესოა, რომ შრამის კოლექციიდან ყველაზე ძვირფასი ლოტების რიცხში აღმოჩნდა ისააკ ნიუტონის წერილი, რომელშიც ის მიზიდულობის თეორიის შესახებ წერს – ის 410 ათას დოლარად გაიყიდა. ასევე, XVII საუკუნის ინგლისელი პოეტის – ჯონ დონას წერილი, რომელიც 230 ათას დოლარად შეიძინეს, ხოლო ალექსანდრე პუშკინის პატარა ჩანაწერი - 290 ათას დოლარად.

ᲙᲔᲘᲗ ᲣᲘᲜᲡᲚᲔᲢᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲐ

ბრიტანული აკადემიის კინემატოგრაფიისა და სატელევიზიო ხელოვნების (BAFTA) პრესტიჟული პრემიის ნომინანტებს შორის ცნობილი მსახიობი კეიტ უინსლეტი დასახელდა. უინსლეტი, რომელსაც ლოს ანჯელესში უკვე ორი "ოქროს გლობუსი" აქვს მიღებული, საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვის ორჯერ იყო ნომინირებული, ფილმებისთვის - Revolutionaru Road ("რევოლუციური გზა") და The Reader ("მკითხველი").

33 წლის კინოვარსკვლავი ფილმ - Sense and Sensibility-ში ("აზროვნება და მგრძნობელობა") შესრულებული როლისთვის, ადრე უკვე გახლდათ ამ პრემიით დაჯილდოვებული. 2005 წელს კეიტი ორჯერ იქნა ნომინირებული ასევე პრემია BAFTA-ზე, საუკეთესო ქალის როლის შესრულებისთვიუს, ფილმებში - Finding Neverland ("ჯადოსნური ქვეყანა") და Eternal Sunshine of the Spotless Mind ("სუფთა გონების მარადიული ნათება"). ამას გარდა, მსახიობი აღნიშნული ბრიტანული პრემიით 2002 წელსაც დაჯილდოვდა, ფილმისთვის - Iris ("ირისი") და 2007 წელს, ფილმისთვის - Little Children ("პატარა ბავშვები").

ბრიტანული პრემიის დაჯილდოების ცერემონია ლონდონში, სამეფო ოპერის თეატრში 8 თებერვალს გაიმართება.

კეიტ უინსლეტის გარდა, პრემია BAFTA-ზე, კატეგორიაში: ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ნომინირებულები არიან - ფრანგულ ფილმ I've Loved You So Long-ში ("მე ისე დიდი ხნის განმავლობაში მიყვარდი") შესრულებული როლისთვის ბრიტანელი კრისტინ სკოტ ტომასი, ანჯელინა ჯოლი - ფილმისთვის Changeling ("გაცვლა") და მერილ სტრიპი - ფილმისთვის Doubt ("ეჭვი").

საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისთვის, პრემიაზე ნომინირებულნი არიან: ბრედ პიტი - ფილმისთვის The Curious Case of Benjamin Button ("ბენჟამინ ბატონის ამოუცნობი ისტორია") და დიდი კინოს დებიუტანტი დევ პატელი - ფილმისთვის Slumdog Millionaire ("მილიონერი მიყრუებული ადგილიდან")

დენი ბოილის ფილმი, ბიჭზე გაჭირვებული რაიონიდან, რომელიც ინდურ თამაშში "ვის უნდა გახდეს მილიონერი" მოხვდება, 11 კატეგორიაში იქნა ნომინირებული, ისევე როგორც ფილმი The Curious Case of Benjamin Button. ბლოკბასტერი ბეტმენზე The dark Knight ("ბნელი რაინდი") ცხრა, ხოლო კლინტ ისტვუდის ფილმი Changeling ("გაცვლა") რვა ნომინაციაში იქნა წარდგენილი. ფილმი Frost/Nixon ("ფროსტი/ნიქსონი") ჯილდოზე ექვს კატეგორიაში დასახელდა, ხოლო The Reader - ხუთ კატეგორიაში. საუკეთესო ბრიტანული ფილმის ჯილდოსთვის, ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ მუსიკალური კომედია - Mamma Mia! და Hunger ("შიმშილი"). ბრიტანელ სუპერაგენტ ჯეიმს ბონდზე გადაღებულმა უკანასკნელმა ფილმმა Quantum of Solace ("შეწყალების კვანტუმი") ორი ნომინაცია მიიღო - საუკეთესო განათება და ვიზუალური ეფექტები.

წიგნები

ნადირობა ცხვარზე

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ახალი წიგნები

ია ვეკუა

მიმდინარე წელს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" დაარსებიდან 10 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით გამომცემლობა წლის განმავლობაში მრავალ აქციას და პრეზენტაციას გეგმავს. "24 საათი" ყოველკვირეულად გაგაცნობთ გამომცემლობის საქმიანობაში არსებულ სიახლეებს. ამჯერად თქვენს ყურადღებას ხუთ ახალ წიგნზე შევაჩერებთ. მათ შორის არის წიგნებიც, რომლებიც პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. საუბარს კი ქართველი ავტორის წიგნით დავიწყებთ.





2007 წლის ნოემბერში მოულოდნელად გარდაცვლილი ზაზა თვარაძის მოთხრობების კრებული "თავგადასავალი" ამ ავტორის ლიტერატურის თაყვანისმცემლებისთვის ნამდვილი საჩუქარია. მასში შესული მოთხრობები და მცირე რომანების უმეტესობა პირველად ქვეყნდება, თუმცა კრებულში შესულია ის ნაწარმოებებიც, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში იბეჭდებოდა. "თავგადასავალი" ზაზა თვარაძის რიგით მეხუთე, მისი გარდაცვალებიდან კი პირველი კრებულია. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას" ასევე გამოშვებული აქვს მისი საბავშვო ნაწარმოები "მონტებელსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა". მასში მოთხრობილია შვიდი წლის გოგონას თავგადასავალი, რომელიც ოქროყანაში ომში დაკარგული მამის საძებნელად მიდის. პატარა მკითხველი კი თავად ნახავს, იპოვნის თუ არა პატარა ელი გმირ მამას.

ქართველი მკითხველისთვის ნამდვილად საჩუქარია იაპონელი ჰარუკი მურაკამის "ნადირობა ცხვარზე", რომელიც ამ ავტორის ქართულად თარგმნილი პირველი ნაწარმოებია. თარგმანი კი ცნობილ ჟურნალისტსა და მწერალ ირაკლი ბერიაშვილს ეკუთვნის. "როდესაც ნაწარმოები წავიკითხე, ჩემსა და ავტორს შორის საოცარი კავშირი ვიგრძენი. მეგონა, რომ ყველა ის ემოცია, გრძნობა, მოქმედება თუ განსჯა არა ნაწარმოების პერსონაჟისგან, არამედ ჩემგან მოდიოდა. მეგონა, რომ ამ ისტორიას მე ვწერდი, ისიც კი დავუშვი, რომ შესაძლოა იაპონიასთან გენეტიკური კავშირიც კი მქონდა", - ამბობს ირაკლი ბერიაშვილი. "ნადირობა ცხვარზე" "ვირთხას ტრილოგიის" მესამე წიგნია. ირაკლი ბერიაშვილს უკვე მზად აქვს ტრილოგიის პირველი წიგნების "მოუსმინე ქარის სიმღერისა" და "პინბოლი, 1973-ის" თარგმანები. მისი თქმით, აუცილებელი არაა ტრილოგიის სამივე წიგნის თანმიმდევრობით წაკითხვა, თუმცა ცალკეული მოვლენები და პერსონაჟები მათ მაინც აკავშირებს.

"ნადირობა ცხვარზე" 60-70-იანი წლების მიჯნის იაპონიის ცხოვრებას, ახალგაზრდა თაობის ურთიერთობებსა და მისწრაფებებს აღწერს. ნაწარმოები 1982 წელს გამოიცა და დამწყები მწერლებისთვის განკუთვნილი პრემიაც მოიპოვა. ჰარუკი მურაკამი რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკაში ცხოვრობდა და როგორც თავად ამბობს, ამის გამო საკუთარ სამშობლოს უცხოელის თვალით აფასებს. "ამერიკაში 5 წლიანი ცხოვრების შემდეგ უცებ იაპონიაზე წერა მომინდა. შორი დისტანციიდან სამშობლოს შეფასება და დაფასება უფრო იოლია, ასეთ დროს უფრო ობიექტური ხდები", - იხსენებს ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალი.

ჰარუკი მურაკამი აღმერთებს დასავლურ პოპკულტურას, როკ მუსიკას და ჯაზს. 90-იანი წლების ბოლოს მან ჯაზის სიყვარული და მწერლობა შეათავსა და რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ გამოსცა წიგნი "ჯაზური პორტრეტები". მასში შესული ილუსტრაციები კი ავტორის ვრცელი ჯაზკოლექციიდან არის. იგი ასევე დაკავებულია მთარგმნელობითი საქმიანობით – იაპონურად თარგმნა ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის, ტრუმენ კაპოტეს, ჯონ ირვინგის, ჯერომ სელინჯერის, ფანტასტი ურსულა ლეგუინისა და სხვათა ნაწარმოებები.

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ახალი გამოცემაა ნორვეგიელი ნოველისტის, ერლენდ ლუს "ნაივური. სუპერი." (მთარგმნელი თამარ კვიჟინაძე). ნაწარმოების მიძღვნის ერთ-ერთი ადრესატი ავტორის უმცროსი ძმაა, ხოლო რომანი სწორედ ძმების ურთიერთობით, ბავშვური გართობით იწყება, რომელიც სულ მალე გარდაიქმნება უფროსების თამაშად. მთავარი პერსონაჟი ინაცვლებს სამყაროში, სადაც ყველაფერს აზრი აქვს დაკარგული, საგნებსა და მოვლენებს ვეღარ აკავშირებს ერთმანეთთან და ბავშვური გასართობებით ცდილობს ამ სამყაროსგან გამიჯვნას. "ნაივური. სუპერი." ერლენდ ლუს ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია, თარგმნილია მსოფლიოს 20 ენაზე და არა ერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. მისი რომანის "ქალის ძალაუფლების" მიხედვით 2007 წელს ნორვეგიელმა რეჟისორმა პეტერ ნესმა ფილმი გადაიღო.

"ნიუ იორკული ტრილოგიის" ავტორი ამერიკელი პოლ ოსტერი არაერთი ბესტსელერის ავტორია. ნაწარმოები სამი ნაწილისგან შედგება: "შიშის ქალაქი", "აჩრდილები" და "დაკეტილი ოთახი". ისინი შეიძლება დამოუკიდებელ ნაწარმოებებადაც აღვიქვათ, თუმცა სიუჟეტური პარალელები მაინც შესამჩნევია. "რომანი – ექსპერიმენტი", "რომანი –თავსატეხი", "აბსურდული და ფსიქოდელიური დეტექტივი", "მეტადეტექტივი", "ანტიდეტექტივი", "მისტერიები მისტერიების შესახებ" – ასეთი გამოხმაურებები შეხვდა ოსტერის ნაწარმოებს მსოფლიო კრიტიკოსებისგან, რომელიც ავტორის ცხოვრებისა და შინაგანი სამყაროს არაპირდაპირი ასახვაა. "ნიუ იორკული ტრილოგია" ქართველი მკითხველისთვის ქეთი ქანთარიამ თარგმნა.

ასტრიდ ლინდგრენის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს ეძღვნება სერია "ასტრიდ ლინდგრენის ბიბლიოთეკა", რომელიც გამომცემლობის მიერ გამოცემულ მის ყველა ნაწარმოებს აერთიანებს. ლინდგრენის ლიტერატურას ქართველი მკითხველის მრავალი თაობა იცნობს, თუმცა "მიო, ჩემო მიო" ქართულად პირველად ითარგმნა (თარგმანის ავტორი ქეთევან იაშვილია). ნაწარმოების მთავარი გმირი ბიჭუნა ბოსეა. იგი სტოკჰოლმის ერთ პატარა ქუჩაზე ცხოვრობს და მეტად სევდიანია - ფიქრობს, რომ არავის უყვარს. ბოსე მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ შორეული ქვეყნის უფლისწულია და სინამდვილეში მიო ჰქვია. მისი საოცარი თავგადასავალი სწორედ აქ იწყება...

ჩინური ხელოვნების გამოფენა დამთვალიერებელთა რეკორდულმა რაოდენობამ ნახა

ლონდონის ჩარლზ საატჩის გალერეაში გახსნილმა ჩინური ხელოვნების ექსპოზიციამ - "რევოლუცია გრძელდება", თანამედროვე ხელოვნების გამოფენებს შორის, დამთვალიერებელთა რაოდენობის თვალსაზრისით, რეკორდული აღმოჩნდა. ამის შესახებ გამოცემა The Guardian იუწყება.

გამოფენის გახსნისთანავე, გალერეას, დაახლოებით, 525 ათასი დამთვალიერებელი ესტუმრა. მიმდინარე რეკორდი 1997 წელს, სამეფო აკადემიაში მოწყობილი ექსპოზიციისას, სახელწოდებით - "სენსაციური ბრიტარტი", დაფიქსირდა. მისი მნახველის რაოდენობამ 300 ათასი ადამიანი შეადგინა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ჩინეთის ოცდაათი თანამედროვე მხატვრის ნამუშევრები, მათ შორის არიან: ჩჟან დალი, ჩჟან ხუანი, ლიუ ვეი, პენ იუი, სუნ იუანი. გალერეაში შესვლა თავისუფალია. ამ დროისათვის ჩინურმა ხელოვნებამ დაწინაურებულთა პოზიციაზე გადაინაცვლა – მსოფლიოში 20 ყველაზე გაყიდვად მხატვარს შორის 11 ჩინელია. გალერეის მეპატრონე ჩარლზ საატჩი ახლო აღმოსავლეთის მხატვრების დიდი გამოფენის მოწყობას გეგმავს.

"არ ვიცი შესძლებს კი მომავალი ჩვენი ექსპოზიცია გაუტოლდეს მიმდინარეს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის მხატვრების ნამუშევრები თავისთავად არაჩვეულებრივია", - აცხადებს საატჩი.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონის პორტრეტი

(1819-1865)

მე-19 საუკუნის 40-50-იან წწ. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის გრიგოლ მაისაურაძე (1814-1885), პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აღზრდილი პირველი ქართველი მხატვარი.

იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის შინაყმა იყო. თავადს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი მხატვრული მონაცემები. ალექსანდრე ჭავჭავაძემ მაისურაძე ყმობიდან გაანთავისუფლა და 1837 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში გააგზავნა. სწავლის პერიოდში გრიგოლი ცხოვრობდა ბაგრატ ბატონიშვილის ოჯახში. აქვე შექმნა მან 1839 წელს "ალექსანდრე ბატონიშვილის პორტრეტი" (ტ.ზ. 55X45, ინვ.. N87).

სურათზე გამოსახული პიროვნება, ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონი საქართველოს მეფის გიორგი II და ქეთევან ანდრონიკაშვილის შვილიშვილი გახლდათ; ისტორიკოსისა და სენატორის ბაგრატ ბატონიშვილისა და ეკატერინე ჩოლოყაშვილის შვილი და მამა ილია, პეტრე, გიორგი და მიხეილ ბაგრატიონებისა.

დაიბადა პეტერგბურგში 1819 წ. მეუღლე ჰყავდა ელენე თარხნიშვილი. ის, რომ სურათი შექმნილია ნატურიდან და მისი ავტორი გრიგოლ მაისურაძეა მეტყველებს წარწერა სურათის ზურგზე:

"სრულიად საქართველოს მეფის გიორგის ძის ბაგრატის ძის ალექსანდრესი არის პატრეტი ესე, რომელ მსახურებს კოზაცკის ათამანის პოლკსა შინა აფიცრათ. წლისა არის 20-სა კსჰ. დავხატე მე გიორგიმ ივანეს ძემ მაისურაძემ წელს 20-სა კსჰ 1839სჰ ჩყლთსჰ თვესა, აგვისტოს 4სჰ გსჰ ქალაქსა შინა სანკტ-პეტერბურში".

მოცისფრო-მონაცრისფრო სასურათე სიბრტყეზე ახალგაზრდა მამაკაცი სამმეოთხედ ანფასში წარმოდგენილი.

სავარძელში მჯდარ ალექსანდრე ბაგრატიონს მარჯვენა ხელი მაგიდაზე აქვს ჩამოდებული... იქვეა მისი სამხედრო თავსაბურავიც.

ბატონიშვილი კაზაკთა ჯარის ნაწილების ოფიცერთა სამოსით, კერძოდ კი მედროშის ტანისამოსით არის შემოსილი,. ღია ლურჯი ფერის მუნდირი ვერცხლისფერი სამხრეებითა და პოზუმენტებით არის გაწყობილი. პორტრეტში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას გამოსახულის გარეგნობა იქცევს... თვალების გამომეტყველება და მათი ოდნავ ასიმეტრიული განლაგება.

მამაკავს აქვს მაღალი შუბლი, შავი ტალღოვანი თმები და თხელი ულვაში. პორტრეტიდან მაყურებელს უცქერის წარმოსადეგი, ჭაბუკური იერის, თავისი წარმოშობით ამაყი და თავის მდგომარეობაში გარკვეული ახალგაზრდა კაცის სევდიანი ფიგურა, რომელიც წარმოდგენილია სტატიურ და სიბრტყობრივ მანერაში.

სურათის კოლორიტი რამდენადმე მშვიდი, ცივია და ოდნავ ნაზი. ჭარბობს ლურჯი, ვერცხლის და ვარდისფრები. სურათი გამოირჩევა გამოსახული პიროვნების ცხოვრებისა და ხასიათის გახსნის მცდელობით.

იზოლდა ქურდაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“ (მის. ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. N2ა) აცხადებს ტენდერს პოლიგრაფიული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. გასაწევი მომსახურების აღწერილობა:

შავთეთრი საგაზეთო გვერდი რაოდენობა მინიმუმ 8 მაქსიმუმ 30.

ფერადი საგაზეთო გვერდი მინიმუმ 2 მაქსიმუმ 10.

ტირაჟი მინიმუმ 800 მაქსიმუმ 1500.

ბეჭდვის ფორმა ფერადი-პერგამენტი შავთეთრი -პერგამენტი,

პერიოდულობა მინიმუმ კვირაში სამჯერ მაქსიმუმ ხუთჯერ,

საბეჭდი ქაღალდი - საგაზეთო.

მომსახურების ფორმა გაზეთის ელექტრონული ვერსიის ჩაბარება (გადაგზავნა) რედაქციის მიერ მინიმუმ 20 საათზე მაქსიმუმ 24 საათზე

დაბეჭდილი პროდუქციის ჩაბარება სტამბის მიერ მინიმუმ 8 საათზე მაქსიმუმ 930 საათზე

3. მომსახურება შემსყიდველისათვის მიწოდებული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე, პერიოდულად, შემსყიდველის მიერ მომსახურების გაწევის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ქსერო ასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 თებერვალს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. N2ა

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

იურიდიული პირისათვის:

5.1.1 ცნობა, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ლიკვიდაცია, გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

5.1.2 ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ფიზიკური პირისათვის:

5.2.1 ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

5.2.2 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

5.3.1 ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;

5.3.2 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

5.3.3 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ტელეფონი,?მობილური, ფაქსი);

5.3.4 ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ **აუდიტორული დასკვნით**;

5.3.5 ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ. (მომსახურების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);

5.3.6 აღნიშნული მომსახურების ანალოგიური, მის მიერ შესრულებული სამუშაოს ნიმუშები;

შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-5 მუხლის მიხედვით.

6. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (სს „თიბისი ბანკის“ ბათუმის ფილიალი, ანგარიშის N50936020100002, ბანკის კოდი 220101835; საიდენტიფიკაციო კოდი: 245427783, დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 10 თებერვლის 11:00 საათიდან 13 თებერვლის 18:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: მის. ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. N2ა შპს „გაზეთი აჭარა და ადჟარია“-ს სატენდერო კომისია.

7. სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკი ან აკრედიტივი, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 3%-ის ოდენობით.

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატისაგან. ტელ: ? (888222) 7 13 31, ? მისამართზე: მის. ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. N2ა

სატენდერო კომისია

<u>გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა</u>
<u>ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ</u>

1

. ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი აცხადებს ტენდერს, **საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. **შესყიდვის ობიექტია:**

მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)	მოწოდების ადგილი	მოწოდების გრაფიკული ვადები
ბენზინი „პრემიუმი“ – ოქტანური რიცხვით არანაკლებ 95.	112 200	მომწოდებლის საკუთარი ბენზოგასამართი სადგურიდან	ხელშეკრულების გაფორმების დღიდან დეკემბრის თვის ჩათვლით, ყოველთვიურად.

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** – საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 09 თებერვალს
16 საათამდე შემდეგ მისამართზე: **ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი №2. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე** 2009 წლის 09 თებერვალს 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისთვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

5.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

6. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის (მათი არსებობის შემთხვევაში).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი ამ განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

9. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ ეგზემპლარად (დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით).

11. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

12. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს ოდენობით.

13. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: (ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგ. 200 122 900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220 101 222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 3 0077 3174; გადახდის დანიშნულება – ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის სატენდერო მოსაკრებელი, ტენდერი საავტომობილო საწვავის სახელმწიფო შესყიდვაზე).

14. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 20 იანვრის 12 საათიდან 2009 წლის 09 თებერვლის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თინათინ კუპატაძე- საკონტაქტო ტელეფონი 93 37 62, 8(95) 14 05 04; მისამრთზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

სატენდერო კომისია

სპორტი

ანტალია - ქართული კლუბების ზამთრის ფავორიტი

მიხეილ აბაიშვილი

ქართული კლუბები მოახლოებული სეზონისთვის დაწყებული მზადების აქტიურ ფაზაში შედიან. გუნდები, რომლებიც საპრიზო ადგილების დაკავებაზე აცხადებენ პრეტენზიას, უცხოურ საწვრთნელ შეკრებებს იწყებენ. ცხრილის ზედა საფეხურებზე მყოფი გუნდების დიდი ნაწილი უცხოურ საწვრთნელ შეკრებებს გაივლის. დანიშნულების პუნქტი ძველი და კარგად ნაცნობია: თურქეთის საკურორტო ქალაქი ანტალია და მისი შემოგარენი.

საქართველოს თასის გასული სეზონის გამარჯვებული ზესტაფონის "ზესტაფონი" 17 იანვარს გაემგზავრა თურქეთში, სადაც ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ 29 ფეხბურთელი წაიყვანა. ზესტაფონელთა შემადგენლობაში რამდენიმე სიახლეა. გუნდი დატოვა კაპიტანმა როინ ონიანმა, რომელსაც კონტრაქტი დაუმთავრდა და "ზესტაფონმა" ახალი ხელშეკრულების გაფორმება აღარ ისურვა. რამდენიმე ფეხბურთელი "ზესტაფონი 2"-იდან პირველ გუნდშია გადაყვანილი. გიორგი ჭანკვეტაძეს და ანზორ სუხიაშვილს ეს პატივი პირველად ერგოთ, ხოლო ყოფილ მეორეგუნდელს კარენ მაკარიანს პირველი გუნდის ახალწევეულს ვერ ვუწოდებთ. "ზესტაფონი 2"-ის ამ ფეხბურთელმა 2008 წლის ბოლოს პირველი გუნდის რიგებში რამდენიმე პრინციპულ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იასპარეზა და საკმაო წარმატებითაც. ტრადიციისამებრ, "ზესტაფონმა" სატრანსფერო აქტივობაც გამოიჩინა, ოღონდ სტილი შეცვალა. თუ ადრე ლეგიონერებს ანიჭებდნენ უპირატესობას და ძირითადად აფრიკელებითა და ბრაზილიელებით ძლიერდებოდნენ, ახლა ადგილობრივ კადრებზე გაკეთდა აქცენტი. "ზესტაფონთან" კონტრაქტები გააფორმეს თავდამსხმელებმა მიხეილ კაკალაძემ და ლევან მელქაძემ, ნახევარმცველმა შოთა გრიგალაშვილმა და მეკარე ზურაბ მამალაძემ. კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გაახანგრძლივა ვეტერანმა თავდამსხმელმა, "ზესტაფონის" საუკეთესო ბომბარდირმა ზურაბ იონანიძემ. ასევე გაუხანგრძლივდათ კონტრაქტი მურთაზ დაუშვილს და ირაკლი ძარიას. კიდევ ერთი ახალწვეულია გიორგი კაჭკაჭიშვილი, რომელიც "ზესტაფონის" ღირსებას მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიცავს. ჯერჯერობით გაურკვეველია, დარჩებიან თუ არა "ზესტაფონში" გიორგი ელბაქიძე და ბესიკ ჩიმაკაძე. ისინი კლუბთან ერთად გაემგზავრნენ ანტალიაში, მათი ბედი კი გუნდის დაბრუნების შემდეგ გაირკვევა.

თურქეთში "ზესტაფონი" ორ კვირას დარჩება. დაგეგმილია ექვსი ამხანაგური სპარინგმატჩი. ოთხი მეტოქის ვინაობა უკვე ცნობილია. ტესტმატჩებში "ზესტაფონს" პარტნიორობას გაუწევენ უკრაინული გუნდები - "ზარია", "კრივ ბასი" და "ვორსკლა", ასევე რუსული "ყუბანი". მიმდინარეობს მოლაპარაკება ბუქარესტის "სტიაუასთან" და სლოვაკეთის "ბანიკთან". "24 საათი" ამ ამხანაგური მატჩების შესახებ ინფორმაციას ოპერატიულად მოგაწვდით.

18 იანვარს თურქეთისკენ აიღო გეზი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ". ნესტორ მუმლაძემ თან 24 ფეხბურთელი იახლა. გუნდი ხუთვარსკვლავიან სასტუმრო "ჰაიატ ბელეკში" დაბინავდა, სადაც საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად ყველა პირობაა შექმნილი. "ვიტ ჯორჯია" ხუთი ამხანაგური შეხვედრის ჩატარებას გეგმავს, თუმცა პარტნიორების თაობაზე ჯერ არაფერია ცნობილი.

სიახლეებია საქართველოს ჩემპიონის თბილისის "დინამოს" რიგებშიც. მთავარი სიახლე 25 წლის არგენტინელი მარცხენა მცველის მარკოს ჩარასის სინჯებზე მიწვევაა. ჩარასს არგენტინის ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამოცდილებაც აქვს. მან ორ ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელ არგენტინელ ფეხბურთელთა გაფართოებულ სიაშიც იყო შეყვანილი. ჩარასი კავენაგისთან, ტევესთან და მასკერანოსთან ერთად მსოფლიოს 20 წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა. სამშობლოში მან "ველეს სერსფილდის" შემადგენლობაში არგენტინის ჩემპიონატი მოიგო. გამოდიოდა ასევე "როსარიო ცენტრალში" და "კილმესში", ხოლო სოფიის "ცსკას" შემადგენლობაში ბულგარეთის ჩემპიონი გახდა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მდიდარი და წარმატებული საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ჩარასმა ბრაზილიის "ვასკო და გამას" მაისურის მორგებაც მოასწრო. ის თბილისში 17 იანვარს ჩამოვიდა და, გუნდთან ერთად ვარჯიშის გარდა, ორმხრივ თამაშშიც მიიღო მონაწილეობა. "დინამოსთან" კონტრაქტი გააფორმა ზუგდიდის "მგლების" მარცხენა ნახევარმცველმა შოთა ლომიამ. ეს ფეხბურთელი მომდევნო ორი წლის განმავლობაში დაიცავს საქართველოს ჩემპიონის ღირსებას.

"დინამო" ანტალიაში 24 აინვარს გაემგზავრება და საწვრთნელი შეკრების ფარგლებში 4 ტესტმატჩს ჩაატარებს. ცნობილია სამი მეტოქე. 28 იანვარს ჩვენს გუნდს მეტოქეობას გაუწევს რუსულ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გასული "ამკარი", 30 იანვარს რაინერ ცობელის შეგირდები ლატვიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს "ლიეპაის "მეტალურგსს" გაეჯიბრებიან, ხოლო 5 თებერვალს უკრაინულ "ტავრისათან" მოსინჯავენ ძალებს. კიდევ ერთ ამხანაგურ სპარინგს "დინამო" 2 თებერვალს ჩაატარებს. მეტოქის ვინაობა ადგილზე გაირკვევა.

თავის გუნდს ანტალიისკენ გაუძღვა ვლადიმერ ხაჩიძეც. მართალია, საფეხბურთო კლუბი "გაგრა" აუტსაიდერთა რიგებშია, მაგრამ მის პრეზიდენტს ბესო ჩიხრაძეს მდგომარეობის გამოსწორებისა და "გაგრის" ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერებში გაყვანის დიდი იმედი აქვს, რისთვისაც ფინანსებს არ იშურებს. გუნდი ორი დღის წინ გაემგზავრა ანტალიის მახლობელ კურორტ ხიდეში, სადაც ორ კვირას გაატარებს და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. გუნდი დატოვა კაპიტანმა ნიკა მგელაძემ, რომელსაც "გაგრასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშების ლიდერთან - "ვიტ ჯორჯიასთან" გააფორმა ორწლიანი კონტრაქტი. თავდამსხმელი ზვიად მეტრეველი კი ცხინვალის "სპარტაკში" გადაბარგდა. იგეგმება ახალი ფეხბურთელების მიყვანა. არ არის გამორიცხული, რომ ახალწვეულთა ნაწილი უცხოეთიდან ჩამოიყვანონ. "გაგრის" რიგებში ერთი ლეგიონერი უკვე ისინჯება - 16 წლის ნიგერიელი თავდამსხმელი ოვონიკოკო 2 დღის წინ ჩამოვიდა თბილისში და "გაგრას" შეუერთდა.

ფაჩულიას 14 ქულამ "ატლანტას" ვერ უშველა

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" დასავლეთ კონფერენციის გუნდებთან ვოიაჟი "გოლდენ სტეიტ უორიორზთან" მარცხით დაასრულა. პირველი ორი მეოთხედის განმავლობაში თანაბარი ბრძოლა იყო, დიდი შესვენების შემდეგ კი მასპინძელთა უმნიშვნელო უპირატესობა გამოიკვეთა.

თუმცა, როგორც კი "უორიორზის" კალათბურთელები უპირატესობას ასე თუ ისე სოლიდურ სახეს მისცემდნენ, ატლანტელთა ლიდერები მაშინვე გააქტიურდებოდნენ და ჩამორჩენას მინიმუმამდე ამცირებდნენ.

ბოლო მეოთხედში მასპინძელთა უკანახაზელის ჯამალ კროუფორდის ზუსტი სროლით "გოლდენ სტეიტი" 9 ქულით დაწინაურდა (102:93). ამას ჯორჯიელების სპურტი (13:0) მოჰყვა, რომლის დროსაც მაიკ ბიბიმ ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო. მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე 3.13 წუთით ადრე "ატლანტა" დაწინაურდა - 106:102. მაგრამ "ჰოუქსის" კალათბურთელებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, დარჩენილ დროში მხოლოდ 8 ქულა მიითვალეს, მეტოქეს კი 17-ის მოხვეჭის საშუალება მისცეს და საბოლოოდ 114:119 დამარცხდნენ.



ფაჩულიას დანკი.

რაც შეეხება ფაჩულიას, ის ძირითად შემადგენლობაში იყო, მოედანზე 30 წუთი გაატარა და გუნდს 14 ქულა, 8 მოხსნა (2 შეტევაში) და 2 დაფარება შეაწია. ქართველმა თამაშიდან 8-ჯერ სცადა ბედი და აქედან 4 ტყორცნა შედეგიანი გამოუვიდა. ამ 8 გასროლიდან ფაჩულიამ ერთი პერიმეტრიდან შეასრულა. ქართველისთვის ეს იყო NBA-ში შესრულებული მეათე სამქულიანი, მაგრამ, ისევე როგორც წინა 9 ცდა, ესეც უშედეგო გამოუვიდა.

ფაჩულიამ თამაშის პირველი წუთები არცთუ დამაჯერებლად ჩაატარა - დასაწყისშივე პერსონალური შენიშვნა მიიღო, რასაც ზედიზედ ორი გაცუდებული ტყორცნა დაუმატა. შემდეგ ქართველი ცენტრი შესანიშნავად ათამაშდა და პერიოდის დასრულებამდე 8 ქულა, 4 მოხსნა და ერთი დაფარება მიითვალა. დარჩენილ პერიოდებში ფაჩულიას თამაშიდან აღარ ჩაუგდია, საჯარიმოს ხაზიდან შესრულებული 8 სროლიდან კი 6 გამოიყენა.

ატლანტელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ჯო ჯონსონი, რომელმაც, 25 ქულასთან ერთად, 6 პასიც მიითვალა. მორის ევანსმა და მაიკ ბიბიმ შეხვედრა, შესაბამისად, 21 და 20 ქულით დაასრულეს. "უორიორზის" მხრიდან საუკეთესოები იყვნენ კროუფორდი (29 ქულა), კორი მაგეტი (24 ქულა, 16 მოხსნა) და სტივენ ჯექსონი (24 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა).

ახლა ატლანტელებს აქტივ-პასივში 23 მოგება და 16 წაგება აქვთ. ამ შედეგით ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილს ინარჩუნებენ. "ჰოუქსი" მომდევნო შეხვედრას 19 იანვარს, საკუთარ მოედანზე გამართავს და ლიგის ერთადერთ კანადურ გუნდს - "ტორონტოს" დაუპირისპირდება.

ამერიკიდან უკრაინაში გადავინაცვლოთ, სადაც უკრაინის ჩემპიონატის ლიდერი "ბკ კიევი" ცხრილის შუაში მყოფ "სუმიხიმპრომს" სტუმრობდა და მეტოქის დამარცხება გაუჭირდა. მთელი მატჩის განმავლობაში თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა. დედაქალაქელებმა მასპინძელთა წინააღმდეგობა დაძლიეს მხოლოდ ბოლო პერიოდში, რომელშიც მარკოიშვილის გუნდმა 16:10 იმარჯვა. საბოლოოდ "ბკ კიევმა" შეხვედრა მინიმალური სხვაობით - 61:60 მოიგო.

მანუჩარ მარკოიშვილმა ეს მატჩი სუსტად ჩაატარა. ქართველის ანგარიშზე მხოლოდ ორი ქულაა. 15 ტურის შემდეგ "ბკ კიევის" გამარჯვებათა რიცხვი ცამეტამდე გაიზარდა. ის ერთი მოგებით უსწრებს უახლოეს მდევარ "აზოვმაშს".

ქეცბაია მსოფლიოში მე-17 მწვრთნელად აღიარეს

სტატისტიკისა და ისტორიის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა 2008 წლის მსოფლიოს 25 საუკეთესო მწვრთნელის რეიტინგი, რომელშიც მე-17 პოზიცია უკავია თემურ ქეცბაიას. ეს "ანორთოსისის" ქართველი მწვრთნელის უდავოდ დიდი აღიარებაა. გასული წლის საუკეთესო სპეციალისტად კი "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი აღიარეს. 1.ალექს ფერგიუსონი ("მანჩესტერ იუნაიტედი" შოტლანდია), 2.დიკ ადვოკაატი ("ზენიტი" ჰოლანდია), 3.ედგარო ბაუსა ("ლდუ" არგენტინა), 4.არსენ ვენგერი ("არსენალი" საფრანგეთი), 5.რაფაელ ბენიტესი ("ლივერპული" ესპანეთი), 6.კარლოს ლუის იხინა ("ბოკა ხუნიორსი" არგენტინა), 7.რობერტო მანჩინი ("ინტერი" იტალია), 8.ავრაამ გრანტი ("ჩელსი" ისრაელი), 9.მანუელ ჟოზე ჟუზის და სილვა ("ალ-აჰლი კაირო" პორტუგალია), 10.ფრანკ რაიკაარდი ("ბარსელონა" ჰოლანდია), 11. ოტმარ ჰიტცფელდი ("ბაიერნი" გერმანია), 12.მანუელ პელეგრინი ("ვილიარეალი" ჩილე), 13.მურიცი რამალო ("სან პაულო" ბრაზილია), 14.რალფ რანგნიკი ("ჰოფენჰაიმი" გერმანია), 15.ჟოზე მოურინიო ("ინტერი" პორტუგალია), 16.ლუჩანო სპალეტი ("რომა" იტალია), 17.თემურ ქეცბაია ("ანორთოსისი" საქართველო), 18.ვიკტორ გონჩარენკო ("ბატე" ბელორუსი), 19.აკირა ნიშინო ("გამბა ოსაკა" იაპონია), 20.ადენორ ლეონარდო ბაკი ("ინტერნასიონალი" ბრაზილია), 21.კლაუდიო რანიერი ("იუვენტუსი" იტალია), 22.ჩეზარე პრანდელი ("ფიორენტინა" იტალია), 23. მირჯალილ კასიმოვი ("ბუნედკორი" უზბეკეთი), 24. ხავიერ აგირე ("ატლეტიკო" ესპანეთი), 25.ალენ პერენი ("ლიონი" საფრანგეთი).

იაპონიაში ქართველთა წარუმატებლობები გრძელდება

იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე იანვრის ბაშოზე ქართველი სუმოისტები წარმატებებით ვერ დაიკვეხნიან. ასპარეზობის რვა დღის შემდეგ კოკაის და ტოჩინოშინს ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ - მათ სამ-სამი ბრძოლა მოიგეს. თუ დარჩენილ 7 დღეში ვითარება არ გამოასწორეს, რეიტინგში უთუოდ დაქვეითდებიან.

"მილანი" ბაქოში თამაშისთვის ორ მილიონ ევროს ითხოვს

"მილანმა" და ბაქოს "ინტერმა" ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ამხანაგური მატჩის გამართვასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის უთანხმოება ფინანსურმა საკითხმა გამოიწვია - იტალიური კლუბი ბაქოში სათამაშოდ 2 მილიონ ევროს ითხოვდა. აზერბაიჯანულმა მხარემ ამ თანხის გადახდაზე უარი თქვა. საქმე ის არის, რომ წელს ბაქოს "ინტერს" დაარსებიდან 5 წელი უსრულდება და კლუბს სურს, რომ მასშტაბურად აღნიშნოს ეს თარიღი. სწორედ ამიტომ სურდათ მათ აზერბაიჯანის დედაქალაქში "მილანის" მიწვევა და ამ სახელოვან კლუბთან მატჩის გამართვა.

ბენიტესმა "ლივერპული" უარით გაისტუმრა

რაფაელ ბენიტესმა უარი უთხრა "ლივერპულს" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. მართალია, ანაზღაურების ოდენობამ და კონტრაქტის მოქმედების ვადებმა ესპანელი სპეციალისტი დააკმაყოფილა, მაგრამ მას არ მოსწონს ის მუხლი, რომელიც სატრანსფერო საქმეებში მის ჩარევას მაქსიმალურად ზღუდავს. ბენიტესს აღარ სურს მომავალში გამეორდეს ის სიტუაცია, რაც სეზონის დაწყების წინ იყო, როდესაც კლუბის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა მისი დაჟინებული თხოვნა და არ გამოყო საჭირო თანხა "ასტონ ვილას" კაპიტნის გერეთ ბერის შესაძენად.

ქართველი 17 წლამდელები ჰოლანდიაში მოემზადებიან

"ფონდი არველაძემ", რომელიც საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებს ჰოლანდიაში ერთკვირიანი ტურნეს გამართვას სთავაზობდა, პირველი ამხანაგური მატჩი დაგეგმა – 31 მარტს, შუაევროპული დროით 16 საათზე, ჩვენი ჩვიდმეტწლამდელები ამსტერდამის "აიაქსის" თანატოლებს გაეჯიბრებიან. ფონდის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები ჰოლანდიაში მომდევნო მატჩს "ალკმაარის" ჭაბუკებთან გამართავს. ეს შეხვედრა 2 ან 3 აპრილს გაიმართება. ჩვენს გუნდს ჰოლანდიური ტურნესთვის "ფონდი არველაძე" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფინანსებენ. სამომავლოდ კი არც სხვა სპონსორების გამოჩენაა გამორიცხული.

სამეულს მიღმა

თურქეთის ქალაქ ანტალიაში დასრულდა ხმელთაშუა ზღვის მეექვსე პირველობა ჭადრაკში. ლევან აროშიძემ (რეიტინგი 2526) მე-7 ადგილი დაიკავა, თამაზ გელაშვილი (2622) კი მე-20 საფეხურზე გავიდა. ტურნირი, რომელსაც 40 მონაწილე ჰყავდა, 9 ტურად წარიმართა.

მე-8 ტურში აროშიძე თურქ ატაკისის დაუზავდა, შემდეგ კი თურქმენი ოდეევი დაამარცხა. აროშიძეს 6 ქულა მოუგროვდა და ექვს მოჭადრაკესთან ერთად მესამე-მეცხრე ადგილები გაიყო. გელაშვილის დარად, 4.5 ქულა 5 მონაწილეს აღმოაჩნდა, რის შედეგადაც ქართველი მოჭადრაკე მეოცეოცდამეხუთე ადგილებზე აღმოჩნდა.

მე-8 გელაშვილმა ტურში თურქ ჰაზნედაროღლუსთან წააგო, დასკვნით ტურში კი ეგვიპტელ ელ განდისთან ქულა გაიყო.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ცვლილება სატენდერო განცხადებაში

2009 წლის 9 იანვარის „24 საათი“-ს N1 ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში „გურჯაანის, საგარეჯოს და თელავის რაიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი შენობების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე, სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/01-2009

შეიცვალოს და დაემატოს შემდეგი:

„4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ფირმის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმე;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ფირმის ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ბოლო 3 წლის საწარმოს ბალანსები და მოგება-ზარალის უწყისები).

თითოეული ლოტისათვის მოთხოვნილი მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმები (რამოდენიმე ლოტში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს საკვალიფიკაციო კრიტერიუმები ჯამში. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა უნდა წარმოადგინოს იგივე საკვალიფიკაციო ინფორმაცია. კონკურსანტისა და სუბკონტრაქტორის საკვალიფიკაციო მონაცემების ჯამი უნდა აკმაყოფილებდეს მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს):

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო, სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 1 მილიონი ლარი;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.“

„10. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

„13. შესყიდვების სამმართველოს საკონტაქტო ტელეფონი: (995 32) 30 61 89“

სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გაზეთ „24 საათის“ 2009 წლის 10 იანვრის ნომერში რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილებები. კერძოდ:

1. განცხადების მე-2-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: მიწოდების სავალდებულო ვადაა <u>2009 წლის 03 თებერვლიდან - 2009 წლის 01 სექტემბრამდე.</u>

2. განცხადების მე-9-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი 1%-ის ოდენობით - საბანკო გარანტიის სახით და ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით, ასევე საბანკო გარანტიის სახით.

3. მისაწოდებელი პროდუქტების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელებისათვის (38 ბაღი – 9 855 აღსაზრდელი) სავალდებულო მისაწოდებელი პროდუქტების რაოდენობა
(78 დღეზე გაანგარიშებით)

<u>ლოტი 1 – პური</u>

№	მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება	რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/
1	პური - კგ	110 493	გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	ყოველდღიურად ან ყოველ მეორე დღეს

<u>ლოტი 2 – ხილ-ბოსტნეული</u>

№	მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება	რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/
1	კარტოფილი კგ	71 748	გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	თვეში მინიმუმ ორჯერ
2	კომბოსტო – კგ	19 244	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
3	ხახვი – კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
4	ჭარხალი – კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
5	ხახვი - კგ	11 559	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
6	ნიორი - კგ	893	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
7	ლობიო –კგ	4 714	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
8	მშრალი ხილი – კგ	775	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
9	ხილი – კგ ვაშლი	78 151	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
10	მწვანილი - კგ	3 075	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ

<u>ლოტი 3 – რძის ნაწარმი</u>

№	მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება	რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/
1	კარაქი კგ	11 382	გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
2	არაჟანი – კგ	8 229	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
3	ხაჭო კგ	12 103	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
4	კვერცი - კგ	4 262	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
5	რძე -ლიტრი	20 232	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ

<u>ლოტი 4 – თევზეული-ხორცეული</u>

№	მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება	რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/
1	ხორცი საქონლის კგ	8 526	გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
2	ქათამი კგ	8 229	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
3	თევზი –კგ	8 229	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ

<u>ლოტი 5 – ბაკალეა</u>

№	მისაწოდებელი კვების პროდუქტის დასახელება	რაოდენობა /9855 აღსაზრდელზე/	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკი /პერიოდულობა/
1	შაქარი კგ	23 771	გლდანი-ნაძალადევის რ-ში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	თვეში მინიმუმ ერთჯერ
2	ზეთი – ლიტრი	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
3	მანი – კგ	23 054	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
4	წიწიბურა –კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
5	ბრინჯი კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
6	ხმელი ბარდა – კგ	2 325	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
7	შვრია (ძერკულესი)-კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
8	ფქვილი ხორბლის უმ. ხარისხის კგ	7 685	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
9	მაკარონი –კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
10	ვერმიშელი – კგ	7 814	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
11	საფუარი – კგ	399	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
12	მარილი კგ	6 154	— „ —	თვეში მინიმუმ ერთჯერ
13	ტომატი –კგ	4 669	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
14	უკმი – კგ	4 004	— „ —	თვეში მინიმუმ ერთჯერ
15	ჩაი – კგ	775	— „ —	თვეში მინიმუმ ერთჯერ
16	კაკაო კგ	794	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
17	კისელი-0.250გრ-ცალი	1 550	— „ —	თვეში მინიმუმ ერთჯერ
18	წვნინ ხილის – ლიტრი	8 514	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
19	შედედებული რძე - ცალი	12 334	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ
20	კვერცხი ცალი	199 589	— „ —	თვეში მინიმუმ სამჯერ
21	ორცხობილა ჰვნეხია – კგ	6 199	— „ —	კვირაში მინიმუმ ერთჯერ
22	რძის ფხვნილი – კგ	7 685	— „ —	თვეში მინიმუმ ორჯერ

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2009 წლისათვის სხვადასხვა სახის **ავტოსათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვაზე.** დაფინანსების წყაროა – სახელმწიფო ბიუჯეტი.

ლოტის №	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
	1 ძრავის ზეთის ფილტრი –	ცალი	80	ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6
	2 ჰაერის ფილტრი –	ცალი	20	
	3 ბურთულა საკისარი ზედა.	ცალი	80	
	4 ბურთულა საკისარი ქვედა	ცალი	80	
	5 ტიაგები–(მარჯვენა-არცხენა)	ცალი	40	
	6 შუა ტიაგა –	ცალი	20	
	7 დაბოლოება (მარჯვენა-მარცხენა)	ცალი	50	
	8 განხვლის მილის ტულკები -	კომპ.	40	
	9 მაიატნიკის ტულკები –	ცალი	20	
	10 გიტარა (ზედა) –(მარცხენა-მარჯვენა)	ცალი	10	
	11 გიტარა (ქვედა) (მარცხენა-მარჯვენა)	ცალი	20	
	12 წინა სამუხრუჭე ხუნდები –	კომპ.	50	
	13 უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპ.	10	
	14 სტუპიცის საკისარი სალნ-ით	კომპ.	30	
	15 შტანგის რეზინები -	კომპ.	20	
	16 ჯვარედინა -	ცალი	40	
	17 ამორტიზატორის რეზინები -	კომპ.	20	
	18 ამორტიზატორი (წინა, უკანა) -	ცალი	8	
	19 საყრდენი დისკი -	ცალი	20	
	20 ძრავის რემენი -	ცალი	40	
	21 სანთლები -	კომპ.	50	
	22 პომპა -	ცალი	20	
	23 ტრამბლიორის კონტაქტები -	ცალი	20	
	24 სამუხრუჭე სისტემის ბაჩოკი (უკანები) -	ცალი	10	
	25 სამუხრუჭე სისტემის ბაჩოკი (მთავარი) -	ცალი	5	
	26 გადაბმულობის ბაჩოკი (ზედა)	ცალი	5	
	27 გადაბმულობის ბაჩოკი(ქვედა)	ცალი	5	
	28 ძრავის დამაწყნარებელი -	ცალი	5	
	29 დამუხტვის რელე -	ცალი	10	
	30 ალმძვრელის ავტომატი -	ცალი	10	
	31 გადაბმულობის დისკი -	ცალი	30	
	32 გადაბმულობის პლიტა -	ცალი	30	
	33 ჰალოგენის ნათურა -	ცალი	200	
	34 ტაოტი – 0.450კგ. -	ცალი	40	
	35 მინის მწმენდები -	ცალი	10	
	36 ხელის მუხრუჭის გვარლი -	ცალი	10	
	37 ტრავერსი -	ცალი	5	
	38 ტრავერსის კოლოფი	ცალი	20	
	39 ალმძვრელის ბენდექსი (ახალი მოდელი) -	ცალი	5	
	40 მიმწოლი საკისარი -	ცალი	10	
	41 ძრავის ჯაჭვი	ცალი	5	
	42 სამუხრუჭე სითხე ლიტ.-5	ლიტრი	40	
	43 მშრალი ამორტიზატორის რეზინები	კომპ.	20	
	44 მშრალი ამორტიზატორის დამჭერი	კომპ.	12	
	45 ძრავის სადები რეზინი	ცალი	10	
	46 უკანა ხიდის რეგულატორი	ცალი	3	
	47 საჭის მექანიზმი	ცალი	5	
	48 საწვავის ფილტრი	ცალი	20	
	49 ბენზინის ტუმბო (ელექტრო)	ცალი	4	
	50 1 კონტაქტიანი ნათურა	ცალი	300	
	51 2 კონტაქტიანი ნათურა	ცალი	50	
	52 კარბურატორი	ცალი	2	
	53 ძრავის ნაწილები	კომპლექტი	3	
	54 გადაცემათა კოლოფის ნაწილები	კომპლექტი	5	
	55 ბენზინის ტუმბო (მექანიკური)	ცალი	12	
	56 რადიატორი	ცალი	3	
	57 სტარტერი	ცალი	2	
	58 ლიანდი	ცალი	2	
	59 ფეჩის კრანი	ცალი	15	
	60 კარდანი	ცალი	2	
	61 პოლუოსი	ცალი	2	
	62 მაყუჩები (პროფესიონალური)	ცალი	200	
	63 ელასტიური მუფტა	ცალი	5	
	64 პადვესნოი საკისარი	ცალი	5	
	65 კლაპნის სალნიკი	კომპლექტი	10	
	66 ვენტილატორი	ცალი	5	
ლოტი №2 ა/მანქანის ძრავის	1 ძრავის ზეთი მინერალი	ლიტრი	2300	
	2 ძრავის ზეთი ნახევარ სინთეტიკა	ლიტრი	700	
	3 ძრავის ზეთი სინთეტიკა	ლიტრი	800	
ზეთი და ანტიფრიზი	4 ანტიფრიზის კონცენტრატი	ლიტრი	400	
ლოტი №3 ა/მანქანის აკუმულატორი	1 აკუმულატორი – 60 A	ცალი	30	
	2 აკუმულატორი 74 A	ცალი	30	
	3 აკუმულატორი – 100 A	ცალი	8	
	4 აკუმულატორი – 125 A	ცალი	4	
ლოტი №4 ა/მანქანის საბურა-ვები	1 ა/მ საბურავი 275/70/R16	ცალი	100	
	2 ა/მ საბურავი 175/70/R13	ცალი	60	
	3 ა/მ საბურავი 205/14/C	ცალი	8	
	4 ა/მ საბურავი 205/15/C	ცალი	20	
	5 ა/მ საბურავი 185/75/R16	ცალი	12	
	6 ა/მ საბურავი 195/65/R15	ცალი	60	
	7 ა/მ საბურავი 235/60/R16	ცალი	4	
	8 ა/მ საბურავი 205/70/ R16	ცალი	12	
	9 ა/მ საბურავი 275/70/R17	ცალი	80	
	10 ა/მ საბურავი 185/65/R14	ცალი	8	
	11 ა/მ საბურავი 215/55/R16	ცალი	50	
	12 ა/მ საბურავი 205/65/R15	ცალი	12	
	13 ა/მ საბურავი 225/60/R16	ცალი	12	
	14 ა/მ საბურავი 255/45/R18	ცალი	4	
	15 ა/მ საბურავი 215/75/R17,5	ცალი	8	
	16 ა/მ საბურავი 235/700/R450 AC (დაჯავშნული R17)	ცალი	8	
	17 ა/მ საბურავი CT 265/40/R500C (დაჯავშნული)	ცალი	8	
	18 ა/მ საბურავი 245-700 R470 CRAX116T (დაჯავშნული)	ცალი	8	
ლოტი №5 სხვადა-სხვა მარკის ა/მანქანების ფილტ-რები	1 „ჯიპი"-ს ტიპის ა/მ საწვავის ფილტრი			
	„ტოიოტა"	ცალი	50	
	„ნისანი"	ცალი	15	
	„მერსედესი ML"	ცალი	5	
	„ჰამერი" (დაჯავშნული)	ცალი	2	
	2 სხვადასხვა მარკის ა/მ საწვავის ფილტრი			
	„მერსედესი"	ცალი	4	
	„რენო"	ცალი	4	
	„ბმვ"	ცალი	1	
	„ფოლცვაგენი"	ცალი	20	
	„ოპელი"	ცალი	15	
	„ნისანი"	ცალი	5	
	3 „ჯიპი"-ს ტიპის ა/მ ზეთის ფილტრი			
	„ტოიოტა"	ცალი	80	
	„ნისანი"	ცალი	50	
	„მერსედესი ML"	ცალი	10	
	„ჰამერი" (დაჯავშნული)	ცალი	2	
	4 სხვადასხვა მარკის ა/მ ზეთის ფილტრი			
	„მერსედესი"	ცალი	10	
	„რენო"	ცალი	12	
	„ბმვ"	ცალი	2	
	„ფოლცვაგენი"	ცალი	40	
	„ოპელი"	ცალი	30	
	„ნისანი"	ცალი	10	
	5 „ჯიპი"-ს ტიპის ა/მ ჰაერის ფილტრი			
	„ტოიოტა"	ცალი	20	
	„ნისანი"	ცალი	10	
	„მერსედესი ML"	ცალი	4	
	„ჰამერი" (დაჯავშნული)	ცალი	1	
	6 სხვადასხვა მარკის ა/მ ჰაერის ფილტრი			
	„მერსედესი"	ცალი	3	
	„რენო"	ცალი	2	
	„ბმვ"	ცალი	1	
	„ფოლცვაგენი"	ცალი	10	
	„ოპელი"	ცალი	13	

ლოტის №	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	წინა	უკანა
ლოტი №6 ა/მანქანის სამუხ-რუჭე ხუნდები	1 „ჯიპი"-ს ტიპის ა/მ სამუხრუჭე ხუნდები			
			წინა	უკანა
	„ტოიოტა"	კომპლექტი	50	30
	„ნისანი"	კომპლექტი	12	12
	„მერსედეს ML"	კომპლექტი	10	5
	„შევროლეტი" (დაჯავშნული)	კომპლექტი	2	
	„ჰამერი" (დაჯავშნული)	კომპლექტი	2	2
	„შევროლეტი"	კომპლექტი	2	1
	2 სხვადასხვა მარკის ა/მ სამუხრუჭე ხუნდები			
			წინა	უკანა
	„კადილაკი" (დაჯავშნული)	კომპლექტი	1	1
	„ნისანი"	კომპლექტი	5	3
	„ჰიუნდაი"	კომპლექტი	2	2
	„მერსედესი"	კომპლექტი	4	4
	„ოპელი"	კომპლექტი	24	14
	„ფოლცვაგენი"	კომპლექტი	20	10
	„რენო"	კომპლექტი	4	4
	„ფორდი"	კომპლექტი	3	3
	„მერსედესი" (დაჯავშნული)	კომპლექტი	10	10

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ხაზინა ბანკი კოდი 220101222, ა/ა №200122900, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სადეპოზიტო-სახაზინო კოდი 302004500, მიუთითონ სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6, რის შემდეგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

4. ტენდერში გამარჯვებულმა საქონლის მოწოდება უნდა უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

5. პრეტენდენტებისათვის სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 19 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით.

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე ორ (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ეგზემპლარად მ.წ. 9 თებერვლიდან 10 თებერვლის 12.00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოროხის ქ.№6, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების მიხედვით.

8. გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას. ხოლო ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია – ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა დარჩეს 2009 წლის 1 მარტამდე.

10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

10.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

10.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

11. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

12. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი, ჭოროხის ქ. №6. ტ: 923321.**

სატენდერო კომისია

The New York Times offers a “window" to the world



- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.

- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

ზირაქაშვილი და კომპანია ჰაინეკენის შანსს ინარჩუნებს

ჰაინეკენის თასზე ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა, მეხუთე ტური რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის იმით იყო საინტერესო, რომ ფრანგულ დერბიში დავით ზირაქაშვილის "კლერმონმა" გოდერძი შველიძის "მონტობანი" 43:10 დაამარცხა და მეოთხედფინალში გასვლის მცირე შანსი შეინარჩუნა. თუ ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში მოვლენები კლერმონელთა სასარგებლოდ განვითარდა, ისინი მეოთხედფინალში თამაშის უფლებასაც მოიპოვებენ.

ჰაინეკენზე თამაშის გასაგრძელებლად "კლერმონმა" ინგლისში ადგილობრივი "შარქსი" უნდა დაამარცხოს, თანაც ისე, რომ ოთხი ან მეტი ლელო გაიტანოს, რათა პრემიალური ქულა ჩაინეროს და დანარჩენი ხუთი ჯგუფის შედეგებს დაელოდეს. საქმე ის არის, რომ, დებულების თანახმად, ჰაინეკენის თასზე მეოთხედფინალში, ჯგუფში გამარჯვებულ ექვს გუნდთან ერთად, ამდენივე მეორე ადგილზე გასულიც გადის. "კლერმონს" კი სწორედ ეს შანსი აქვს.

ზირაქაშვილმა და კომპანიამ საფრანგეთის TOP 14 და ჰაინეკენის მიმდინარე სეზონი ცუდად დაიწყო, მაგრამ ბოლო დროს მდგომარეობა ისე გაიუმჯობესა, რომ ევროპული რაგბის პრესტიჟული ტურნირის მეოთხედფინალამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს. მანამდე კი "კლერმონის" მსხვერპლი გახდა ამავე გათამაშების დებიუტანტი "მონტობანი".

სტუმრების ძლევაში თავისი წვლილი არ შეუტანია ზირაქაშვილს - ის გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა. შველიძემ კი სრულად ითამაშა. მონტობანელებს ისღა დარჩენიათ, მთლიანად TOP 14-ზე გადაერთონ.

პირველი ჯგუფის მეორე შეხვედრაში ჰაინეკენის თასის ჩემპიონმა, ირლანდიურმა "მიუნსტერმა" საკუთარ მოედანზე ინგლისური "შარქსი" 37:14 დაამარცხა. მასპინძლებმა ექვსი ლელო გაიტანეს და, პრემიალური ქულის აღებით, მეოთხედფინალის საგზური ნაადრევად გაინაღდეს.

მეორე ჯგუფში დამარცხდა საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი წევრის - აქვსენტი გიორგაძის "კასტრი", რომელსაც შოტლანდიაში "ედინბურგმა" 32:14 სძლია. გიორგაძე განაცხადში იყო და მოედანზე 67-ე წუთიდან გამოჩნდა, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. შოტლანდიელებთან წაგებამ კასტრელები სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე დააქვეითა, თვითონ კი მესამეზე გადაინაცვლეს. არც ერთ მათგანს ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსიც არა აქვს.

მეექვსე ჯგუფში საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მორაგბის დიმიტრი იაშვილის "ბიარიცმა" იტალიაში "კალვისანოსთან" 23:15 გაიმარჯვა. გუნდის კაპიტანმა ქართველმა-ფრანგმა სრულად ითამაშა და სამი ჯარიმა და ორი გარდასახვა მიითვალა. "კალვისანოსთან" მოგების მიუხედავად, ფრანგებს ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკული და თეორიული შანსიც დაკარგული აქვთ, რადგან ჰაინეკენის გათამაშების ხუთ შეხვედრაში მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვეს, ამასთან, ორჯერვე იტალიელებთან.

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი